პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 142 (9918) | ხუთშაბათი, 17 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ცნობა (1-ლი გვერდი).

ძირეულ პრესას — ყოველდღიური ხელმძღვანელობა. — „პრავდის“ 15-VI მოწინავე (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. — ჯ. ჭიოკაძე. — საწარმოს პარტიული ორგანიზაცია და საშეფო მტს-ები (მე-2 გვერდი).

ს. თავაძე. — გონების ძალა (მე-2 გვერდი).

საბაზეთო თემაზე. — შ. როსტომაშვილი. — უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელებისათვის (მე-2 გვერდი).

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ქალაქ პრაღის მშრომელთა მიტინგზე 1954 წლის 15 ივნისს (მე-3 გვერდი).

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება ჟენევის [illegible] საკითხის შესახებ 1954 წლის 15 [illegible] (მე-3 გვერდი).

კორეის სახალხო-დემოკრატიული [illegible] საქმეთა მინისტრის ნამ ირის განცხადება კორეის საკითხზე 1954 წლის 15 ივნისს (მე-4 გვერდი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოში (მე-4 გვერდი).

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ცნობა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1954 წლის გამოშვება), რომელიც გამოშვებულია 16 მილიარდი მანეთის რაოდენობით, 14 ივნისის დღის ბოლოსთვის გავრცელდა 17 მილიარდ 492 მილიონ 031 ათასი მანეთის რაოდენობით.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მითითებას საფუძველზე გასცა განკარგულება 1954 წლის 16 ივნისიდან ყველგან შეწყდეს სესხზე შემდგომი ხელმოწერა.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. ზვერევი.

1954 წლის 15 ივნისი.

ძირეულ პრესას—ყოველდღიური ხელმძღვანელობა

კედლის გაზეთები მტკიცედ შევიდნენ საბჭოთა ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისინი წარმოიშვნენ როგორც მშრომელთა შემოქმედებითი თვითმოქმედების პროდუქტი და უაღრესად ფართო გავრცელება ჰპოვეს ჩვენს ქვეყანაში. კედლის გაზეთები გამოდის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში — ყველგან, სადაც შრომობენ და კომუნისტური მშენებლობის დიად პროგრამას ახორციელებენ საბჭოთა ადამიანები.

ძირეული პრესა სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იღებს ჩვენი პრესის სისტემაში როგორც მასებზე ზეგავლენის იარაღი და როგორც მშრომელთა აქტივობის გამოვლინების ფორმა. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ კედლის გაზეთები, თუ ისინი რეგულარულად გამოდის, თუ მათში მონაწილეობას იღებს მუშა და სოფლის კორესპონდენტების მრავალრიცხოვანი აქტივი, თუ ისინი გაბედულად და უშიშრად ამთარახებენ ნაკლოვანებებს, უნარიანად უწევენ პროპაგანდას მოწინავე გამოცდილებას, — ასეთი გაზეთები პარტიული ორგანიზაციების ხელში მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის მათი დარაზმვის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა.

მოვიყვანოთ ხარკოვის ოლქის სახნოვშჩინის რაიონის მაგალითი. ამ რაიონის კოლმეურნეობებმა მიმდინარე წელს წარმატებით განახორციელეს საგაზაფხულო თესვა. სიმინდი, მზესუმზირა და კარტოფილი დათესილი და დარგულია მხოლოდ და მხოლოდ კვადრატულ-ბუდობრივი წესით. ახლა რაიონში ორგანიზებულად მიმდინარეობს ნათესების დამუშავება, საკვების დამზადება და მოსავლის აღებისათვის მზადება. ამ წარმატებათა მოპოვებაში დიდი როლი შეასრულეს კედლის გაზეთებმა. რაიონის კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა პერიოდში გამოშვებულია ოთხასამდე კედლის გაზეთი, „საბრძოლო ფურცლები“, კედლის გაზეთების სატირული დამატებანი. ბევრ კოლმეურნეობასა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურში გამოდის ყოველდღიური კედლის გაზეთები. ზოგიერთი მათგანი დიდ გავლენას ახდენს კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სამეურნეო საქმიანობაზე. პარტიის სახნოვშჩინის რაიკომი რეგულარულად ისმენს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და რედაქტორების ანგარიშებს კედლის გაზეთების მუშაობის შესახებ. რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფები მტს-ებში პრაქტიკულად ეხმარებიან სარედაქციო კოლეგიებს იმაში, რომ უკეთ მოაწყონ კედლის გაზეთების გამოშვება, ამაღლონ მათი გამოსვლების ქმედითობა.

ყურადღების ღირსია კედლის გაზეთ „ნეფტიანიკის“ გამოცდილება, რომელიც გამოდის გროზნოს ოლქის „ოქტიაბრნეფტის“ ტრესტის მეორე სარეწში. სარედაქციო კოლეგიამ კედლის გაზეთის გარშემო შექმნა მუშა კორესპონდენტების აქტივი და მისი დახმარებით მწვავედ გამოდის სარეწის მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, იბრძვის ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მასალები, რომლებიც გაზეთში იბეჭდება, შინაარსიანი და საინტერესოა. სარედაქციო კოლეგიას მუდმივ დახმარებას უწევს დ: მხარს უჭერს პარტიული ორგანიზაციის ბიურო.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ამ უკანასკნელ ხანს შესუსტდა ყურადღება კედლის გაზეთებისადმი, არის ფაქტები, რომ ჯეროვნად არ აფასებენ კედლის გაზეთების როლს მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. პარტიის ზოგიერთი საქალაქო და რაიონული კომიტეტები, პირველადი პარტორგანიზაციები ცუდად ხელმძღვანელობენ კედლის გაზეთებს, არ უზრუნველყოფენ, რომ კედლის გაზეთებმა მთავარი ყურადღება მიაპყრონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდმნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტას, ურიგდებიან კედლის გაზეთების დაბალ დონეს. ძირეული პრესა თავმინებებულია ორიოლის ოლქის ვოლხოვის, კრომისა და ზოგიერთ სხვა რაიონში. ბევრ კოლმეურნეობასა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურში კედლის გაზეთები გამოდის, როცა შემთხვევა მოიტანს. ამ გაზეთებში არ ეხებიან პარტიული ორგანიზაციების ცხოვრების, კოლმეურნეობათა ეკონომიკის აღმავლობის აქტუალურ საკითხებს. მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა პერიოდში აქა-იქ სულ შეწყდა გაზეთების გამოშვება.

ძირეული პრესა პარტიული მუშაობის დიდმნიშვნელოვანი უბანია. კედლის გაზეთების ფართო განვითარება, მათი დონის ამაღლება რომ უზრუნველყოთ, უწინარეს ყოვლისა ბოლო უნდა მოვუღოთ კედლის გაზეთების შეუფასებლობას. ყოველდღიურად წარმართავენ რა კედლის გაზეთების საქმიანობას, პარტიულმა ორგანიზაციებმა სარედაქციო კოლეგიების მთავარი ყურადღება უნდა მიაპყრონ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, თვითღირებულების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ახლა კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების კედლის გაზეთების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა — დარაზმონ სოფლის მეურნეობის მშრომელები ნათესების წარმატებით მოვლისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის უზრუნველსაყოფად საკვების დამზადებისათვის, მოსავლის ასაღებად და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დასამზადებლად მომზადებისათვის.

გაზეთების ყურადღების ცენტრში მუდამ უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც დასახეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სეპტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმებმა. საჭიროა არა მარტო ჩამოთვალონ ნაკლოვანებანი, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაშკარავა, არამედ კიდევაც დაინახონ ეს ნაკლოვანებანი თავისთან, კოლმეურნეობაში, მტს-ში, მიუთითონ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტულ ღონისძიებებზე, გააკრიტიკონ ყველაფერი, რაც ხელს უშლის კოლმეურნეობის განვითარებას. კედლის გაზეთების გამოსვლების ღირებულება მათს კონკრეტულობაშია.

ძირეული პრესა მოწოდებულია აქტიურად დაუჭიროს მხარი ნოვატორებს, აქტიურად იბრძოლოს მათი გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის, სახალხო მეურნეობის რეზერვებისა და შესაძლებლობათა სრული გამოყენებისათვის.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ კედლის გაზეთების როლი მუშაობის მოდუნებისა და ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლაში, თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის შემდგომ გაჩაღებაში. მტკიცე ბრძოლა კონსერვატიზმის, ჩამორჩენილობის, უძრაობის წინააღმდეგ, ბიუროკრატების, საქმის გამჭიანურებლების, წუნმკეთებლების გაბედული მხილება, ყოველივე იმის განუწყვეტელი კრიტიკა, რაც აფერხებს ჩვენს წინსვლას, ძირეული პრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. საჭიროა უფრო მეტი გამოვუშვათ მებრძოლი, მახვილი გაზეთები, უფრო გაბედულად დავრაზმოთ ქვემოდან კრიტიკისათვის მუშა და სოფლის კორესპონდენტთა ფართო აქტივი, მოუსვენარი, სიმართლის მაძიებელი და სიმართლის მოყვარული ადამიანები, რომლებიც დიდად არიან დაინტერესებულნი ჩვენი სამშობლოს შემდგომი განმტკიცებით.

კედლის გაზეთები, რომლებიც საბჭოთა დაწესებულებებში გამოდის, მოწოდებული არიან აქტიურად შეუწყონ ხელი სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებას. მათი უპირველესი მოვალეობაა მწვავედ გააკრიტიკონ პარტიის მიერ დაგმობილი პრაქტიკა, როცა ბევრი დაწესებულების მუშაობაში მთავარი ყურადღება ექცევა არა ორგანიზატორულ მუშაობას, არამედ დიდძალი სხვადასხვა დირექტივების, განკარგულებებისა და ბრძანებების, ყოველგვარი ცნობების შედგენას, მრავალი სხდომისა და თათბირის მოწყობას, რაც ადამიანებს ცოცხალი საქმისაგან წყვეტს. თავისი საქმიანობით ძირეული პრესა ხელს უნდა უწყობდეს იმას, რომ სულ უფრო ზედმიწევნით ხორციელდებოდეს ის პრინციპები, რომლებიც დიდ ლენინს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის საფუძვლად მიაჩნდა, — კავშირი ხალხის ფართო მასებთან, ეკონომიურობა, შემოქმედებითი ინიციატივის წახალისება, ყოველგვარი ფორმისა და გამოვლინების ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

ცნობილია, რომ გაზეთის შინაარსი, მისი კრიტიკის დონე, გაზეთის გავლენა ცხოვრებაზე განისაზღვრება იმით, თუ ვინ უდგას სათავეში გაზეთს, რამდენად ფართოდ მონაწილეობენ მის მუშაობაში მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, საქმის კარგად მცოდნე ადამიანები. საჭიროა, რომ კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებში იყვნენ ინიციატივიანი მუშაკები, რომ პარტიული კომიტეტები რეგულარულად ისმენდნენ რედაქტორთა ანგარიშებს, აწყობდნენ სემინარებს, საინსტრუქციო თათბირებს, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა შეკრებებს.

არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების ფურცლებზე აღარ იბეჭდება კედლის გაზეთების მიმოხილვები, მაშინ როცა მიმოხილვების სისტემატური ბეჭდვა ამ გაზეთების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვალეობაა, კედლის გაზეთების დონის ამაღლების ქმედითი საშუალებაა.

პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება აამაღლებს ძირეული პრესის მამობილიზებელ და მაორგანიზებელ როლს საბჭოთა ხალხის ბრძოლაში კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის.

„პრავდის“ 15-VI მოწინავე.

საბჭოთა საქართველოს დღე

★

რუსთავის მეფაღურგეების გამარჯვება

რუსთავი. (საკ. კორ.). მესამე წელია, რაც ერთმანეთს ეჯიბრებიან სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისა და ტაგანროგის ანდრეევის სახელობის მეტალურგიულ ქარხნის კოლექტივები.

ტაგანროგისა და რუსთავის მეტალურგთა შეჯიბრება მასწავლებლისა და მოწაფეების შეჯიბრებაა. ტაგანროგის ქარხანაში ბევრი რუსთაველი მეტალურგი აღიზარდა. სოციალისტური შეჯიბრების შედეგები ყოველ კვარტალურად ჯამდება. თავდაპირველად უმეტეს შემთხვევაში ტაგანროგელები იმარჯვებდნენ, წელს კი მოწოფეებმა აჯობეს მასწავლებლებს.

ამას წინათ რუსთავში მიიღეს ცნობა, რომ შავი მეტალურგიის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეაჯამა რუსთავისა და ტაგანროგის მეტალურგებს შორის 1954 წლის პირველ კვარტალში სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. შეჯიბრებაში გამარჯვებულად აღიარებულია სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი.

ტაგანროგისა და რუსთავის მეტალურგებს შორის შეჯიბრება გრძელდება.

ბრიგადა ზეგეგმითს ქვანახშირს იძლევა

ტყვარჩელი. („კომუნისტის“ კორ.). ტყვარჩელის მეშახტეებს შორის დიდად გაითქვა სახელი ვ. მეტრეველის მნგრეველ-ამწეშენდთა ბრიგადამ, რომელიც სისტემატურად ყოველ ცვლაში 25-30 ტონა ზეგეგმითს ქვანახშირს იძლევა. ეს ბრიგადა 7 კაცისაგან შედგება.

უკვე ორი წელიწადია ბრიგადა მტკიცედ ინარჩუნებს მესამე შახტის პირველობას და სადღეღამისო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. ბრიგადა ყოველთვის ერთი საათით ადრე ჩადის შახტში. სანამ ბრიგადის ერთი ნაწილი შპურების გაბურღვას იწყებს და ამთავრებს, მეორე ნაწილი სხვა სანგრეკს ამზადებს მბურღავებისათვის. აფეთქებისთანავე მეორე ჯგუფი პირველ სანგრევში გადადის, იწყებს წმენდითს სამუშაოებს, ხოლო მბურღავები მეორე სანგრევში იწყებენ შპურების გაბურღვას.

ასეთი წესით მუშაობა ბრიგადას დიდად უადვილებს ზეგეგმითი ქვანახშირისათვის ბრძოლას.

მგურღავ კ. ნადირაძის წარმატება

ჭიათურა. (საკ. კორ.). დიმიტროვის სახელობის მაღაროში ხუთი წელია მბურღავად მუშაობს ახალგაზრდა ნოვატორი კ. ნადირაძე. იგი საუცხოოდ დაეუფლა საბურღავ მანქანას, მარგანეცის ქანების ბურღვის საკუთარი მეთოდი შეიმუშავა და შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწია.

ნადირაძე სანგრევში იმდენ მარგანეცს ბურღავდა და ანგრევდა, რომ ხშირად საექსპლოატაციო ცვლა ვერც კი ასწრებდა ვაგონებში ადენის დატვირთვასა და გამოზიდვას.

ამიტომ იყო, რომ ნოვატორი მბურღავი ახლახან სამუშაოდ გადაიყვანეს ლენინის სახელობის მაღაროში, სადაც მარგანეცის დატვირთვა-გამოზიდვა მექანიზებულია.

კ. ნადირაძემ ამ დღეებში ახალი წარმატება მოიპოვა. მან ცვლაში სანგრევი ხაზი გეგმით გათვალისწინებული 0,7 მეტრის ნაცვლად 2 მეტრით წასწია წინ და მარტო ერთ სანგრევზე 70 ტონა მადანი მოანგრია. ეს მნიშვნელოვანი მიღწევაა სამთამადნო მრეწველობაში. ნადირაძე, გარდა ამისა, რომ ერთიორად ზრდის შრომის ნაყოფიერებას და სანგრევი ხაზის წინსვლას, საგრძნობლად ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

ნოვატორი მბურღავის კ. ნადირაძის გამოცდილება ფართოდ უნდა დაინერგოს საქართველოს სამთამადნო მრეწველობაში.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დღიური

მოწინავე მექანიზატორები

თბილისის გარეუბნის რაიონი. („კომუნისტის“ კორ.). თელეთის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობათა მინდვრებზე მიმდინარეობს თიბვა, ნათესების დამუშავება. ტაბახმელის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას მეორე სატრაქტორო ბრიგადამ შირაქში გაუთიბა 100 ჰექტარი. ერთ დღეს ეს ბრიგადა 25 ჰექტარს თიბავს.

თელეთში წარმატებით მუშაობს სათიბი მანქანა, რომელსაც ა. ასლამაზოვი მართავს. მან ორ დღეში 50 ჰექტარი გათიბა.

თელეთის კოლმეურნეობამ 16 ივნისს დაამთავრა კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი 140 ჰექტარი მზესუმზირის ორჯერადი კულტივაცია. ნათესმა საუკეთესოდ გაიხარა.

ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში შეუდგნენ ხაგვიანო პამიდორისა და კომბოსტოს რგვას. გაფორმდა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება, რომლითაც კომბაინერებმა. გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. კომბაინერებმა ს. ვახტანგოვმა და მ. ვართანოვმა პირობა დადეს „სტალინეც-6“ მარკის კომბაინით აიღონ მოსავალი ხუთას-ხუთას ჰექტარზე ნაცვლად 280 ჰექტარისა. კომბაინერმა ი. ჯამალაშვილმა ვალდებულება იკისრა მომკას 450 ჰექტარი.

თიბვა გაჩაღდა

კაჭრეთი. („კომუნისტის“ კორ.). კაჭრეთის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებმა გააჩაღეს თივის აღება. ამ დღეებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს შირაქში. წარმატებით მუშაობს მეოერთმეტე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ი. გეთიაშვილი ხელმძღვანელობს. ტრაქტორისტი გ. მაზანიშვილი თიბვის ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. ამ ბრიგადას უკვე გათიბული აქვს 120 ჰექტარი.

ასევე დაწინაურდა მერვე სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი ვ. ბაწელაშვილი, ტრაქტორისტი გ. ჯიჭურაშვილი), რომელმაც გათიბა 60 ჰექტარი. თივა დროულად შეაგროვეს და დაზვინეს.

დავალება შესრულებულია

ბოლრი. (საკ. კორ.). მდინარე ლიახვის მარჯვენა ნაპირზე გადაკიმულ საკოლმეურნეო მინდვრებში გამუწყვეტლივ გუგუნებენ ტრაქტორები. მუშაობაში ყველას გაუსწრო მტს-ის იმ სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც გ. მაზმიშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული 200 ჰექტარის ნაცვლად საანეულოდ მოხნა 350 ჰექტარი. დაწინაურდა მეორე სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი ი. დადაშელი), რომელმაც გეგმის გადამეტებით მოხნა 120 ჰექტარი. ტრაქტორისტები ა. სამხარაძე, ს. ბეჟანიშვილი, გ. გამგებელი, გ. მაკასარაშვილი ცვლის დავალებებს ორმაგად ასრულებენ.

შინდისის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივმა ვადაზე ერთი თვით ადრე — 1 ივნისისათვის გეგმის გადამეტებით შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა ნახევარი წლის გეგმა.

ნახევარი წლის გეგმები ორ-სამმაგად გაანაღდეს ტრაქტორისტებმა ა. სამხარაძემ, შ. მაზმიშვილმა და კ. ბეჟანიშვილმა.

ნათესების დამუშავება

ვანი. (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში მასობრივად გაჩაღდა ნათესების დამუშავება. სოფელ ხალხინოს მალენკოვის სახელობის, ქვედა ბზვანის კიკვიძის სახელობის, მუქედის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებში გათოხნილი აქვთ 80 ჰექტარზე მეტი სიმინდი.

სოფელ ხალხინოს მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის იმ ბრიგადამ, რომელსაც ნ. კიკვაძე ხელმძღვანელობს, ერთ დღეს 4,5 ჰექტარი სიმინდი გათოხნა.

საკოლმეურნეო სოფლისათვის

რესპუბლიკის კოლმეურნეობები ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების შედეგად იღებენ ათეულობით სატვირთო და მსუბუქ ავტომანქანებს. მიმდინარე წლის ხუთ თვეში სოფელს უკვე მიღებული ჰქვს 428 ავტომანქანა, აქედან 62 მსუბუქი ავტომანქანა.

ავტომანქანები დიდი რაოდენობით მიიღეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებმა, აგრეთვე ახალქალაქის, გეგეჭკორის, ბოგდანოვკის, თბილისის გარეუბნის, ლენინგორის, მახარაძის და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა.

* * *

დიდძალი სამრეწველო საქონელი მიიღო საკოლმეურნეო სოფელმა. მიმდინარე წლის ხუთ თვეში სოფლად გაიგზავნა 243.400.000 მანეთის სამრეწველო საქონელი — 14.400.000 მანეთის შალის, 41 მილიონი მანეთის ამრეშუმის და 97 მილიონ მანეთის ბამბეულის ქსოვილები, 20 მილიონზე მეტი მანეთის შეკერილი ტანსაცმელი, 27 მილიონამდე მანეთის ფეხსაცმელი და სხვ.

სოფლის მოსახლეობა წლის ბოლომდე კვლავ მიიღებს დიდძალ სამრეწველო საქონელს და ფართო მოხმარების საგნებს.

* * *

საკოლმეურნეო ნაგებობების — კოლმეურნეობათა კანტორების, მეცხოველეობის ფერმებისა და სხვ. მშენებლობისათვის ღღემდე გაიგზავნა 3.135.000 ცალი შიფერი, 17.800 ტონა ცემენტი, 220 ტონა სახურავი თუნუქი, 174.000 კვადრატული მეტრი მინა, ას ტონამდე საღებავი ზეთი და სხვ.

* * *

ეეკავშირი დიდი რაოდენობით ამარაგებს სოფელს წვრილი სასოფლო-სამეურნეო იარაღით — ბარებით, ცელებით და სხვ. წელს სოფლად საკოლმეურნეო სამეწველოებს გაეგზავნა აგრეთვე 1.260 ტონა ხარისხოვანი რკინა, 4.000 ტონამდე ნახშირი და სხვ. მეცხოველეობის განვითარებისათვის სოფელმა მიიღო კონცენტრირებული საკვები — ქატო, კომბინი და სხვ.

ყაზანლიყის ვაჩრის კრეფა

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). რაიონში ყაზანლიყის ვარდი ფართოდ გავრცელებული კულტურაა. წელს ლაგოდეხელმა კოლმეურნეებმა ვარდის პლანტაციები კიდევ 11 ჰექტარზე გააშენეს.

ვარდი მასობრივად შემოვიდა. პირველ დღეებში კოლმეურნეობებმა უკვე 4.500 კილოგრამზე მეტი ვარდის ფოთოლი ჩაბარეს ეთერზეთის გადამამუშავებელ ქარხანას.

ვარდის ფოთლის კრეფაში დაწინაურდნენ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის, თამარიანის პირველი მაისის სახელობის, ყარსუბნის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობები.

წარმატება მოიპოვა თელის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ფ. ხუციშვილი), რომელმაც პირველ ორ დღეს 1.100 კილოგრამი ვარდი მოკრიფა და ჩააბარა.

ნათესების მექანიზებული დამუშავება

აბაშა. („კომუნისტის“ კორ.). კვადრატულ-ბუდობრივად დათესილი სიმინდის ნათესი კარგი მოვლის შედეგად მშვენიერი სანახავია. სოფელ მარნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში აბაშის მტს-ის ტრაქტორისტმა ი. მიგინეიშვილმა ამ წესით დროულად დათესა სიმინდი 261 ჰექტარზე, ნაცვლად 100 ჰექტარისა. სიმინდი ყველგან თანაბრად არის აღმოცენებული. ი. მიგინეიშვილმა მექანიზებულად უკვე დაამუშავა 17 ჰექტარი.

კარგად უვლიან სიმინდის ნათესს სოფელ ნოღოხაშის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში. შეჯიბრებაში დაწინაურდა მესამე ბრიგადა (ხელმძღვანელი დ. ცომაია). ბრიგადის წევრები ა. ჭანტურია, თ. გაბელია სიმინდის თოხნის ყოველდღიურ ნორმას 130-150 პროცენტით ანაღდებენ. ასევე წარმატებით ამუშავებენ სიმინდის ნათესებს სოფელ ნაესაკოკოვის კაგანოვიჩის სახელობის და სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებში.

კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი სიმინდის კულტივაცია

ლანჩხუთი. (სპეც. კორ.). სოფელ ეწრის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის 80 ჰექტარ ფართობზე თვალწარმტაცად გადაშლილა სიმინდის მწვანე კვადრატები. ამ მექანიზატორები ექვსმწკრივიანი კულტივატორით შეუდგნენ მეორე კულტივაციას. მექანიზატორები დღეში 15-18 ჰექტარზე ატარებენ კულტივაციას. კოლმეურნეებმა გამოიანგარიშეს, რომ თუ ჰექტარზე ხელით დამუშავებას მოუნდება დაახლოებით ათი კაცი, ახლა ორმხრივი კულტივაციის შემდეგ საკმარისი იქნება 2-3 კაცი. ამან მრავალი მუშახელი გათავისუფლა. ზოგმა ჩაის სამუშაოს მიაშურა, ზოგმა კი ახალი მოწევის ათვისების სამუშაოებს.

სიმინდის მწვანე კვადრატები ეწერელ კოლმეურნეთა სიამაყე გახდა. ისინი ამ შემოდგომაზე პირველად ნახავენ ამ ფართობში სიმინდის ასაღებ კომბაინს.

ხილბოსტნეულის ახალი მოსავლის ქონსერვები

საქკომსერვტრესტის ქარხნებში დაიწყო ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების ახალი სეზონი. სამტრედიისა და ქუთაისის საკონსერვო ქარხნებმა უკვე გამოუშვეს პირველი პროდუქცია.

ქუთაისის საკონსერვო ქარხანამ გამოუშვა 840.000 ქილა ახალი მოსავლის მწვანე ბარდის კონსერვი, ხოლო სამტრედიის საკონსერვო ქარხანამ დაამზადა 72.000 ქილა ზენდრის მურაბა, 100 ათასზე მეტი ქილა ჯემი და რამდენიმე ტონა გაყინული ხენდრო.

საკონსერვო ქარხნები სრული დატვირთვით იმუშავებენ ივნისის ბოლო რიცხვებიდან.



ფართო მოხმარების მრავალნაირ საგნებს ამზადებენ თბილისის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა „კომსომოლკაში“. აქ კერავენ და ლამაზად ქარგავენ მუთაქისპირებსა და ბალიშისპირებს, ამზადებენ მხატვრულ ცხვირსახოცებს, ქალების თავსახვევებსა და ყელსახვევებს, ნავთქურების პატრუქებს, აბრეშუმის ნაირფერ ძაფს და სხვა ნაწარმს. ფეიქრები მთელ სამუშაოებს მექანიზმებით ასრულებენ.

ფაბრიკის კოლექტივი ამჟამად მკერავს ტიულის დიდ ფარდებს, რომლებიც გაიგზავნება მოსკოვს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დარბაზებისათვის.

სურათებზე: 1. სტახანოველი მუშა ნ. ქობულაშვილი მუშაობის დროს. 2. ხელსაქმის საამქროს ოსტატი ე. ღვინიაშვილი (მარჯვნივ) ამოწმებს მისი მოწაფის კ. სულაძის მიერ მოქარგულ მუთაქისპირს. 3. მუშა-მხატვარი ე. პაიანდი ხატავს მამაკაცის აბრეშუმის ცხვირსახოცებს.

ფოტო შ. გოკაძისა.

პარტიული ცხოვრება

საწარმოს პარტიული ორგანიზაცია და საშეფო მტს-ები

გასული წლის შემოდგომაზე მარგანეცის ტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს კოლექტივმა, როცა იგი გულდასმით გაეცნო პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებას, გადაწყვიტა შეფობა ეკისრა ჭიათურისა და საჩხერის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებზე. ამ კეთილშობილური საქმის ინიციატორებად კომუნისტები გამოვიდნენ. შეფობას სათავეში ჩაუდგა პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი დ. ოტიაშვილი).

შარშან მთავარი მექანიკური სახელოსნოს კოლექტივმა, რომელიც აღჭურვილია საკმაოდ მძლავრი ტექნიკით და კვალიფიციური კადრებით, ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების არაერთი ნაწილი დაუმზადა ჭიათურისა და საჩხერის მტს-ებს.

საშეფო მტს-ები შედარებით ახალია და მათი სარემონტო სახელოსნოებიც ჯერჯერობით სრულყოფილად მოწყობილი არ არის. ამიტომ, როცა ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტი დაიწყო, მტს-ებმა დიდძალი შეკვეთები მისცეს მთავარ მექანიკურ სახელოსნოს. სახელოსნოს კოლექტივი — კომუნისტი ხარატები, ზეინკლები, მსხმელები, შემდღელები, მჭედლები — გულმოდგინედ და საქმის სიყვარულით ასრულებდა მტს-ების შეკვეთებს. მაგრამ იყო შეფერხებებიც. ეს შეუმჩნეველი როდი დარჩა პარტიულ ორგანიზაციას. ღია პარტიულმა კრებამ სპეციალურად განიხილა მტს-ებისადმი დახმარების საკითხი, რომელიც ინჟინერ-ტექნოლოგმა ა. ჩაჩანიძემ, ინჟინერ-ენერგეტიკოსმა კ. კიკაბიძემ და ნორმადამრმა თინა მეტრეველმა მოამზადეს. კრებაზე მხილებულ იქნა ნაკლოვანებანი, რომელთა გამოსასწორებლად დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი. ბევრი რამ დაეკვალა მექანიკური სახელოსნოს მთავარ ინჟინერს დ. ჩიხელიძეს, საამქროთა უფროსებს ი. კაპანაძეს, ა. გოცაძეს და ე. ჩხიკვაძეს. მიღებული დადგენილების შესასრულებლად მუშაობა გაჩაღდა მექანიკურ, სამსხმელო, სამჭედლო და ელექტროსაამქროებში.

სახელოსნოს კოლექტივმა მტს-ებში გაგზავნა სპეციალური ბრიგადები. მათ დაწვრილებით შეისწავლეს მტს-ების საჭიროებანი და მოთხოვნილებანი, რაც გაითვალისწინეს თავიანთ მუშაობაში. სახელოსნოს კოლექტივმა ჭიათურის მტს-ში გაგზავნა აგრეთვე გამოცდილი ხარატი დ. ფედჩენკო, რომელიც იქ ორ თვეს დარჩა, წესრიგზე მოიყვანა მტს-ის სახარატო ჩარხი, დაამზადა დიდძალი ქანჩი, ჭანჭიკი, სათადარიგო ნაწილები. ამს. ფედჩენკომ თავისი გამოცდილება გაუზიარა მტს-ის ახალგაზრდა ხარატებს.

მარტში სახელოსნოს კომუნისტების კრებამ განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის შედეგები. მოხსენება გააკეთა საქალაქო კომიტეტის მდივანმა მ. ლაბარემ. კრებაზე ილაპარაკეს ელსადგურის გამგემ გ. შეყილაძემ, საწარმოო განყოფილების უფროსმა თ. სამხარაძემ, მექანიკური საამქროს უფროსმა ი. კაპანაძემ, ზეინკლმა რ. ბროლაშვილმა, სახელოსნოს დირექტორმა ვ. გეწაძემ, პარტბიუროს მდივანმა დ. ოტიაშვილმა და სხვებმა. პარტიულმა კრებამ მიღებულ დადგენილებაში გაითვალისწინა სოფლისადმი დახმარების გაძლიერება. მართლაც, სახელოსნოს კოლექტივმა მტს-ებს დიდი რაოდენობით დაუმზადა ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების ნაწილები. ახლაც ზეინკლები და ხარატები საჩხერისა და ჭიათურის მტს-ების შეკვეთების სასწრაფოდ შესრულებაზე მუშაობენ. სახელოსნოს კოლექტივი იარაღ-მანქანების შეკეთებაში ეხმარება აგრეთვე კოლმეურნეობებს.

პარტიული ორგანიზაცია, კომუნისტები სისტემატურ კონტროლს უწევენ სოფლის მეურნეობის შეკვეთების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას. ამ საქმისადმი ყურადღება მომავალშიც არ უნდა შენელდეს.

პ. ჯიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სოციალისტური შრომის გმირის ჩაის პლანტაციაში

ბათუმი. (საკ. კორ.). ჩაის უხვი მოსავლის განთქმული ოსტატია ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სოციალისტური შრომის გმირი გულიკო ჯინჭარაძე. მან შარშან საუკეთესოდ მოუარა პლანტაციებს და ჰექტარზე მოიყვანა 14.185 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11.600 კილოგრამისა. გ. ჯინჭარაძეს მოპოვებული აქვს 1954 წლის სრულიად საკავშირო სახოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება.

ამით აღფრთოვანებული გ. ჯინჭარაძე ახლა კიდევ უფრო მეტი მონდომებით მუშაობს და გადაწყვიტა მოსავლელად მიჩენილ ნახევარ ჰექტარ პლანტაციაში მოიყვანოს 10 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 5.800 კილოგრამისა. ნაკისრი ვალდებულების უკეთ შესრულების მიზნით ახლა დღეში საშუალოდ კრეფს 70 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

სურათზე: გ. ჯინჭარაძე ჩაის კრეფის დროს.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.

მწვანე ბაიხაო ჩაის პროდუქცია

ლანჩხუთის ჩაის მეორე ფაბრიკა ყოველდღიურად 15-18 ტონა ჩაის ნედლეულს ამუშავებს. მაისში გამოშვებული პირველი ორმოცამდე ტონა მწვანე ბაიხაო ჩაი გაიგზავნა ირკუტსკში, სამარყანდში და სხვაგან.

ფაბრიკაში წარმატებით მუშაობს საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ორი ბრიგადა. მიცემულ დავალებებს გადაჭარბებით ანაღდებენ მ. ფირცხალაიშვილი, ე. გალოგრე, მ. ლომაძე, ნ. მიხაილოვა, ო. ფირცხალაიშვილი, დამხარისხებელი და საგრეხი საამქროების ბრიგადირები სულიკო ბარამიძე და ნათელა ჭყონია. მანქანა-დანადგარებია შეუფერხებლად მუშაობის უზრუნველყოფისათვის ენერგიულად შრომობს ინჟინერი ტატიანა გვარჯალაძე.

ჩაის ფაბრიკის რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა

წალენჯიხა. (საკ. კორ.). წალენჯიხის რაიონის ჩაის მეორე ფაბრიკა, რომელიც შავ ბაიხაო ჩაის უშვებდა, გადაკეთდა მწვანე ბაიხაო ჩაის გამომშვებ ფაბრიკად, რისთვისაც მოხდა მისი რეკონსტრუქცია.

ფაბრიკაში დამატებით დაიდგა სამი ახალი სახმობი ღუმელი, დადგმულია აგრეთვე ორი ახალი დამაორთქლებელი და შემშრობი აგრეგატი. გაკეთდა ექვსი სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტიორი, დამხარისხებელ საამქროში დაიდგა მტვერშემწოვი. ფაბრიკის კორპუსი მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

რეკონსტრუქციაზე — მანქანა-დანადგარების ჩათვლით — ერთ მილიონამდე მანეთი დაიხარჯა. ამჟამად ფაბრიკა ამუშავებს ახალ ნედლეულს.

მნიშვნელოვანი ღონისძიება ხორციელდება აგრეთვე ფაბრიკის ტერიტორიის კეთილმოსაწყობად. აქ 3.500 კვადრატულ მეტრზე მიმდინარეობს ასფალტის დაგება, იდგმება 30 ლამპიონი, ფაბრიკის სკვერი ლამაზად გაფორმდა, აქ დაირგო 3.600 ძირი მცენარე. ფაბრიკის ტერიტორიაზე დაირგო აგრეთვე 1.000-ზე მეტი ძირი სხვადასხვა წიწვიანი მცენარეები. ფაბრიკის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის 200 ათასი მანეთი დაიხარჯება.

სიმინდისა და შაქრის ჭარხლის კულტივაცია

ქასპი. (საკ. კორ.). ქასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის „თელის მიწებში“, როგორც ამ უწოდებენ ერთ-ერთ ნაკვეთს, შორიდანვე კარგად მოჩანს თანაბრად აღმოცენებული სიმინდის ნათესის კვადრატები. აქ სიმინდის ორმხრივ კულტივაციას შეუდგა ქასპის მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადა. ტრაქტორისტი ი. ყაზარაშვილი დღიურ დავალებას გადამეტებით ასრულებს. პირველ დღესვე კულტივაცია 12 ჰექტარზე ჩატარდა.

აგიტატორთა კურსები

პარტიის ზესტაფონის რაიკომმა როდინოულის, ქვედა საქარის, პირველი მაისისა და კვალითის სასოფლო საბჭოებში მოაწყო კოლმეურნეობების აგიტატორთა ზონალური ხუთდღიანი კურსები.

კურსებზე, რომლებსაც 850-ზე მეტი აგიტატორი ესწრებოდა, წაკითხულ იქნა ლექციები და მოხსენებები თემებზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებათა პროპაგანდა სოფლად“, „სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა“, „აგიტატორები სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში“, „საგიტაციო საუბრების მომზადება და ჩატარება“, „აგიტატორის ენა და მეტყველება“, „საველე გაზეთი და მისი მნიშვნელობა“, „საერთაშორისო მდგომარეობა“ და სხვ.

კურსებზე მოეწყო მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება, გამოშვებულ იქნა სანიმუშო საველე გაზეთები. (საკ. კორ.).

საგაზეთო თემაზე

უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელებისა-თვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს საბჭოთა პრესამ. ჩვენი პრესის, კერძოდ რაიონული გაზეთების უპირველესი ამოცანაა სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო ბრძოლის სისტემატურად, საქმის ღრმა ცოდნით გაშუქება.

თელავის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის ხმის“ რედაქციამ თავისი საქმიანობა სწორედ ამ საპატიო დავალების შესრულებას დაუქვემდებარა. გაზეთში გამოქვეყნებული მასალები ძირითადად მიზნად ისახავენ მევენახეობის, მარცვლეული მეურნეობის, მეცხოველეობის, მეკარტოფილეობისა და მებოსტნეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლას.

რაიონის ეკონომიკაში წამყვანია მევენახეობა. შარშან რაიონში დიდი გადამეტებით შესრულდა ყურძნის მოსავლიანობის გეგმა. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა მიღწეულით დაიმშვიდეს გული და მიმდინარე წელს ახალი წარმატებებისათვის ბრძოლის ნაცვლად მუშაობა შეანელეს.

ამიტომ არის, რომ ჩვენი გაზეთი საკმაო ადგილს უთმობს ჩამორჩენილთა მხილებას. გაზეთში შემოვიღეთ მუდმივი განყოფილება „დავაჩქაროთ ვენახების დამუშავება“. აქ გამოქვეყნებული წერილებით გაკრიტიკებულ იქნა გულგულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, რომელსაც უზრუნველობის ვაშწყობილება დაეუფლა და ვენახებში საზამთრო სამუშაოები არ ჩაატარა და კონდოლის კოლმეურნეობა, სადაც არ იბრძოდნენ ვენახის მეჩხერიანობის სალიკვიდაციოდ. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა გაზეთში გამოქვეყნებული მამხილებელი წერილების შედეგად სპეციალურად განიხილა ვენახების დამუშავების საკითხი და დასახა ღონისძიებანი ვენახების სამუშაოების დასაჩქარებლად. ახლა შეიძლება ითქვას, რომ ვენახები მეტ წილ კოლმეურნეობებში სანიმუშოდ არის მოვლილი.

„კოლმეურნის ხმა“ სისტემატურად ბეჭდავს მასალებს მოწინავე მევენახეთა გამოცდილების შესახებ. აპრილში გაზეთმა მთელი გვერდი დაუთმო აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ გამოცდილების ჩვენებას. აქ მოთხრობილია ბრიგადირ ნ. ქევხიშვილის და მენამყვანეთა მერგოლურის მ. კასრელიშვილის მუშაობის მდიდარი გამოცდილება. ფართოდ გავაშუქეთ აგრეთვე რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავის“ მუშაობის გამოცდილება ყურძნის უხვი მოსავლის მიღების დარგში.

რაიონის კოლმეურნეობებში სამარცხვინოდ იყო ჩამორჩენილი მეცხოველეობა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ ამ დარგის წინწასაწევად ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება. რაიონული გაზეთი „კოლმეურნის ხმა“ სისტემატურად ამჟღავნებდა პირუტყვის გამოზამთრების, მისი მოვლა-პატრონობის საკითხებს, ახლაც აკრიტიკებს ნაკლოვანებებს, ავრცელებს მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილებას.

როგორც კი გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ“, ჩვენმა გაზეთმა გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლების მოსაპოვებლად. გამოვაქვეყნეთ სანიმრის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ წევრთა საერთო კრების მიმართვა თელავის რაიონის ყველა კოლმეურნეობისადმი მოწოდებით იბრძოლონ გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლებისათვის. მიმართვის პასუხად კოლმეურნეობებმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ. ახლა გაზეთის ყველა ნომერში ვათავსებთ წერილებს ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ, ვაკრიტიკებთ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს.

მაგრამ გაზეთ „კოლმეურნის ხმას“ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებები აქვს. გაზეთის რედაქციას არა ჰყავს შემოკრებილი თავის გარშემო ავტორთა ფართო აქტივი. გაზეთის ფურცლებზე იშვიათად ან სრულებით არ იბეჭდება რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების, მტს-ების დირექტორების წერილები, იშვიათად ვათავსებთ მექანიზატორთა წერილებსაც.

გაზეთი ნაკლებად იბრძვის გამოქვეყნებული წერილების ქმედითობისათვის. კრიტიკულ წერილებს ვაქვეყნებთ, მაგრამ ხშირად აღარ ვამოწმებთ, თუ როგორ იბრძვიან ადგილებზე მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ჯერ კიდევ არასაკმარის ადგილს უთმობთ გაზეთში მექანიზატორებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მუშაობის გამოცდილებას, ცოტას ვწერთ მათი საყოფაცხოვრებო პირობების შესახებ. სერიოზული ნაკლოვანებებია გვაქვს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხების გაშუქებაში.

გაზეთ „კოლმეურნის ხმის“ რედაქცია გაზეთის აქტივის რიგების გაფართოებით ყველაფერს გააკეთებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა უსწრაფესად აღმოფხვრისათვის.

შ. როსტომაშვილი,
გაზეთ „კოლმეურნის ხმის“ რედაქტორი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ეჭარის რაიონული გაზეთები უკეთ უნდა მუშაობდნენ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 16 აპრილის ნომერში რუბრიკით „საგაზეთო თემაზე“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო ქობულეთის, ბათუმის, ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონული გაზეთების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. დავითაძე გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. ამა წლის 26 მაისს პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა ქედის რაიონულ გაზეთის „კოლმეურნის ხმის“ მუშაობის საკითხი. ბიურომ არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის სამუშაოდან გაათავისუფლა რედაქტორი ამხ. ჯაყელი, ხოლო გაზეთის მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესების მიზნით დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

პარტიის საოლქო კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს უახლოეს მომავალში მოაწყოს რაიონული გაზეთების რედაქტორთა საოლქო თათბირი.

გონების ძალა

წლის ყველა დროს ლამაზია ჩვენი ქვეყნის ეს კუთხე — მახარაძის რაიონი, მაგრამ ამ ზაფხული ფილას უფრო მეტად იგრძნობა აქაური ბუნების ცხოველმყოფელობა.

რა სიმშვიდეა ამ კრიალა ქუჩებში! მაღალი ჭადრების გვერდით თავს იწონებენ ახალგაზრდა ხეები, უამრავი მცენარე გზების ნაპირებზე. ახალგაღვიძებული ბუნების თვალი გამოკრთის ამ საუცხოოდ მორთული ქალაქისა და მისი მიდამოების ელვარებაში.

ლენინისა და სტალინის ძეგლებს დილის ნათელი მარადი სიცოცხლის შუქით ამკობს.

გაიზარდა, მრავალფეროვანი გახდა ჩვენი სოფლის მეურნეობა, თვალს ველარ გადააწვდენთ ჩაის პლანტაციებს.

მთელ ამ ახალერდებულ ბუჩქებს, სხივდაკრული დუყეებით დამშვენებულთ, დროზე უნდა მოკრეფა, არც ერთი დღის დაყოვნება არ შეიძლება, თორემ გაუხეშდება.

ჩაის მეურნეობას, განსაკუთრებით ფოთლის კრეფას ადამიანის ხელივით მგრძნობიარე მანქანა ესაჭიროება. ერთი შეხედვით თითქოს შეუძლებელია ასეთი მანქანის დაბადება. მაგრამ ამას აუცილებლად უნდა მივაღწიოთ. ეს საქმე ნიჭიერ გამომგონებელთა მძიებელმა გონებამ, გაბედულმა შრომამ უნდა გააკეთოს.

* * *

თათბირს მთელი რაიონის ხელმძღვანელები და მეცნიერი მუშაკები ესწრებიან.

— დვაბზუს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვასო ჯაბუამ, — ამბობს მომხსენებელი, — თავი მოუყარა კოლმეურნეებს და ადგილზევე მოაწყო პრაქტიკული მუშაობა, რომ ყველას საკუთარი თვალით ენახა თეორიის პრაქტიკასთან შეერთება. თუ კი ეს მცოდნე ხელმძღვანელი მოიცა ასე, განა ახალ თავმჯდომარეებს უფრო მეტად არ სჭირდებათ შეისწავლონ აგროწესების განხორციელება?

დარბაზში შეიშმუშნენ. კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა ერთმანეთს გადახედეს. მართლაც და, სოციალისტური შრომის გმირმა ვასო ჯაბუამ ჯერ ხომ ნატანების კოლმეურნეობაში გაითქვა სახელი, მისი დაუცხრომელი ხელმძღვანელობით ეს კოლმეურნეობა საქართველოში ერთ-ერთი პირველთაგანი გახდა. დღეს კი დვაბზუს კოლმეურნეებს ამოსდგომია მხარში და გულდაჯერებულად მიჰყავს ისინი ახალი მიღწევებისაკენ.

ყოველი ახალი წამოწყება სოფლის მეურნეობაში პირველად იოლად როდი იკვლევს გზას. ავიღოთ სიმინდის თესვა. მეჩვიდმეტე საუკუნიდან, რაც ეს კულტურა ჩვენში გავრცელდა, ჩვენი მამა-პაპა მას ერთნაირად თესავდა. ახლა კი კვადრატულ-ბუდობრივი თესვა შეიქნა ხაპირო. კოლმეურნემ ყოველივე თვალნათლივ უნდა ნახოს, რომ დარწმუნდეს ამ წესის უპირატესობაში.

თავმჯდომარეებისა და აგრონომების შემდეგ სიტყვას ამბობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გოგი გოძიაშვილი. ამ ტანმორჩილ, შავგვრემან, თვალმახვილ მეცნიერს ყრმობა ქიზიყში გაუტარებია, მაგრამ შემდეგ ისე შეუსწავლია ჩაის მეურნეობა, რომ მის ყოველ სიტყვას დამსწრენი დიდი გულისყურით იხმენენ.

— ამდენი ხანია სოფლის მეურნეობაში ვმუშაობ, მაგრამ ამ კაცმა, გოგი გოძიაშვილმა დღეს სრულიად ახალი ფურცლები გადაშალა ჩემს წინაშე, — მითხრა შემდეგ ვასო ჯაბუამ.

რაზე ლაპარაკობდა ეს მეცნიერი?

წელს ხანგრძლივი და ძმიმე ზამთარი იყო. თოვლმა ზოგან მოსწვა ჩაის ბუჩქი. აქა-იქ ბუჩქებს ხმობა ემჩნევა.

გ. გოძიაშვილი მსმენელთ სხვადასხვა ბუჩქის შტოების ნაჭრებს უჩვენებს და სავსებით დამაჯერებლად განმარტავს, თუ რამ გამოიწვია ამა თუ იმ ნიადაგზე ბუჩქის ხმობა, ლაპარაკობს სასუქებზე, განსაკუთრებით კალიუზე.

— აი, დაკვირდით, — ამბობს გოძიაშვილი, — ერთმანეთთან რამდენიმე მეტრის დაშორებით ამოვთხარეთ ორმოები, წვიმა მოვიდა, ორმოები წყლით გაივსო. გამოიდარა, ერთი ორმო უკვე ჩაშრა, მეორეს წყალი შუამდე ადგას. მესამეში უფრო მეტია.

რაშია საქმე? სულ უბრალო ამბავია: სხვადასხვანაირი ნიადაგია. ხოლო თუ უფრო მეტ ფართობს ავიღებთ, მაშინ ნიადაგის სხვობა გაცილებით თვალსაჩინო იქნება.

რამდენად საგულისხმოა მეცნიერის ეს დაკვირვება!

ზოგჯერ რომელიმე გულგამომშრალი ბიუროკრატი მოხაზავს წრეს რუკაზე და დაგეგმავს, აქ ამდენი და ამდენი ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი უნდა გაშენდესო. ეს მიდამოები იმ მედიდურ ფორმალისტს იქნებ თვალითაც არ უნახავს, გეგმას კი ერთი ხელმოხმით აკანონებს!

რამდენი შრომა დაიხარჯა ამაოდ, რა ნაყოფიერი ნიადაგი გაცდა. რამდენი იზარალეს კოლმეურნეობამ და სახელმწიფომ ასეთი წინდაუხედავი მგეგმავებისა და ფორმალისტების შემსრულებლების უგულო საქმიანობის მეოხებით!

* * *

მზე გაძლიერდა, ცის თაღზე რძისფერი ღრუბლის ფაფუკი ფენა ხსივებში ღვივის და ნაზად კამკამებს.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კანტორის შესახვლელთან უნებლიეთ შევჩერდი. ეს ხომ იმ მექანიზატორთა შტაბია, რომელთაც ადამიანის ხაზსახურში მყოფ მანქანებს სული უნდა ჩაუდგან, მრავალი დღის საქმე ერთ საათში გააკეთებინონ. ამათ კი, თუ თვალი არ მატყუებს, ეს ახალი შენობა წესიერად ვერ მოუწყვიათ.

ნუ ავჩქარდებით, იქნებ ვერ მოიცალეს.

კაბინეტში მაგიდასთან საქმეში გართული, ფრიად მოხდენილი ვაჟკაცი ზის. ეტყობა გადაუდებელი საქმე აქვს და ჩვენთან სასაუბროდ განწყობილი არ არის.

ვერ გავამტყუნებთ დირექტორს კარლო გიორგაძეს: მახარაძის რაიონის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს თავიდანვე საკმაო ყურადღება არ ექცეოდა. იგი მოუწყობელია, სახელოსნო პრიმიტიული აქვს. მანქანები ცის ქვეშ დგას, და რამდენი ზეთიც უნდა ხარჯოთ, მაინც იუანგება. არ ვიცით, ვისი ბრალია ეს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსი, თუ ადგილობრივი ამხანაგებისა. იქნებ ორივესი?

— როგორ მუშაობენ თქვენი მექანიზატორები? კადრების სიმცირე ხომ არ იგრძნობა?

— მუშაკები საკმაოდ გვყავს — ამბობს ამხანაგი კ. გიორგაძე, — ჩვენ ძირითადად ჩაის მეურნეობას ვემსახურებით.

უმალვე გავიფიქრე: თუ ესენი უმთავრესად ჩაის მეურნეობას ემსახურებიან, ყველაზე გარკვეულ და საიმედო პასუხს ჩაის საკრეფი მანქანის შესახებ აქ მივიღებ. ამიტომ ვეკითხები ამხანაგ კარლოს:

— რას ფიქრობთ ჩაის საკრეფ მანქანაზე? არის თუ არა გადაჭრილი ეს პრობლემა?

შეკავებულ, გარკვეული პასუხის გაცემა დირექტორმა უხერხულად მიიჩნია. მხოლოდ ესა თქვა:

— ამ საკითხზე მოელაპარაკეთ ანასეულში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს პანტელეიმონ სკორინს.

დირექტორის კაბინეტიდან ცოტა არ იყოს გულდაწყვეტილი გამოვედი. კარლო გიორგაძის სკეპტიკურმა ტონმა ნაღვლიანი ფიქრები აღმიძრა.

არა, — ვთქვი მერე გუნებაში, — მანქანა უთუოდ დაიბადება, უთუოდ ამოქმედდება. ვნახოთ, რას გვეტყვის ამხანაგი სკორინი.

* * *

რა მშვენიერი გზატკეცილია! ახალთახალი მანქანა შეურხევლად მისრიალებს. შიგ რადიო ხმიანობს; მოსკოვში მღერიან და გულშიჩამწვდომი ბანგები აქაც ისმის.

გზა ნასაკირალზე მიირკალება.

ირგვლივ წიწვიანი ხეების ზოლები და ჩაის ბუჩქებია, ხელმარცხნივ ბახმაროს სპეტაკი მთები.

პირმცინარე დღეა. ყველაფერს ახალი სიცოცხლე ამშვენებს.

ნაგომარში მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შალვა სარიშვილი სამუშაო ოთახში შემოძღვა და წინ მწვანე ბალახის უცნაური კონები დამიწყო. ასეთი მაღალი, თითქმის ნახევარმეტრიანი მწვანე ბალახი სად გაჩნდა?!

ჯერ ორი სიტყვა თვით შალვა სარიშვილზე. ესეც ვასო ჯაბუასთან ერთად არის გაზრდილი. ნატანებში ის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო, შემდეგ პარტორგანიზაციის მდივანი. ტანადი, სანდომიანი კაცია.

— ეს ბალახი, ასე ნორჩად რომ გამოიყურება, ახალგამოყვანილი კოინდარია, — მიხსნის ამხანაგი შალვა, — ჰექტარზე სამოცდაათი-ოთხმოცი ტონა მოდის. ამისათვის ქობულეთის რაიონში სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ვიყავი. იქ მუშაობს აგრონომი ალექსანდრე კოპელნაკი, ეს ბალახი მისი გამოყვანილია. საჭიროა მუდმივად გამდინარე ჭანჭრობი; რამდენიმე ჰექტარი იკმარებს, რომ ჩვენი ფერმის პირუტყვს ცოცხალი საკვები არ მოვაკლოთ...

აქაც, პირუტყვის კვების საქმეში, ადამიანის გონების ახალი გამარჯვება!

წუწუნებდნენ: ირგვლივ ფართობები ყველგან დაითესა, პირუტყვისათვის საძოვარი არსად არისო. აგერ — ხომ მონახა გამოსავალი აგრონომმა ა. კოპელნაკმა!

ნაგომრელ კოლმეურნეებს სოფლის ცენტრში აუგიათ მშვენიერი შენობა ფერმისათვის. გარედანაც სასიამოვნო შესახედავია ეს გრძელი ბოსელი. შიგნით კი კარგად მოვლილი პირუტყვი ბუყავთ. სისუფთავეა. მოკლე ხანში აქ პირუტყვის კვების, წველისა და მოვლის სრული მექანიზაცია განხორციელდება. ამისათვის უკვე ყველაფერი მზად არის. ფერმის მუშაკები უკვე აღწევენ წველადობის მაღალ დონეს. მაგრამ აქ მთავარია ჩაის მეურნეობა. ჩაის მოსავლის საუხვეშე წამოსწია წინ ეს სოფელი, რომელიც წინათ სიმდიდრეს ვერ დაიკვეხნიდა. აშენდა ახალი სახლები, ყველა ოჯახს აქვს ელექტროსინათლე და რადიო; მშრომელი, მოქმედი ადამიანების წინაშე დიდი ასპარეზი გადაიშალა.

— გასულ წელს შრომადღეზე ოცდაცხრა მანეთი გავაკეთეთ, გარდამავალი დროშა მივიღეთ, — მიამბობს ამხანაგი შალვა, მაგრამ ეტყობა, რომ მიღწეულით მაინცდამაინც აღტაცებული არ არის, უფრო მეტისაკენ მიისწრაფვის.

— ჩვენ მექანიზაციის დიდი იმედი გვაქვს, უკვე ვგრძნობთ მის ძალას, — თქვა შალვა სარიშვილმა, როცა გზის მახლობლად ველზე მომუშავე ტრაქტორს მივუახლოვდით.

ტრაქტორისტმა, ჩასაკვნელმა ჭაბუკმა, საჭე შეგრძდს გადასცა და შემოგვეგება.

ოცდა ხუთი წლისაა ეს ვაჟკაცი — გრამატო ურუშაძე, მაგრამ უკვე ათი წელიწადია ტრაქტორზე მუშაობს, მოწინავეა.

— ნეტავი სულ თქვენს კოლმეურნეობაში ვიმუშავებდე, — ეუბნება გრამატო კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, — თქვენი შრომადღე სხვებზე უფრო ხვავრიელია.

გრამატოს გასულ წელს მრავალი შრომადღე გამოუმუშავებია, წელს უფრო მეტს აპირებს.

მაგრამ ჩვენთვის ტრაქტორი ძალიან ძველი ნაცნობია, ისევ ანასეულისაკენ გავწიეთ ამხანაგ სკორინის სანახავად, რომ გაგვეგო როდის გამოვა ველზე სამუშაოდ ჩაის საკრეფი მანქანა.

* * *

ანასეული. ყრმობისას ბევრჯერ გამივლია ამ მაღლობზე. ტალი, უსიცოცხლო სერი იყო. ფერდობებზე გვიმრა იყო მოდებული. დღეს კი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სასახლეები, საუცხოო ხეივნები და თვალუწვდენელი პლანტაციებია. სულ რაღაც ოცდაოდე წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი ყოველივე ამას.

ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ირულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი მეცნიერ მუშაკთა დიდი შტაბია. აქ ფრიად საინტერესო კვლევითი მუშაობა წარმოებს ჩვენი მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, მაგრამ მე ჩაის საკრეფი მანქანა მაინტერესებდა და პანტელეიმონ სკორინს მივმართე.

იგი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატია. ხანდაზმულობა არ ემჩნევა, აქ 1932 წლიდან მოღვაწეობს.

— როგორ ფიქრობთ, — შევეკითხე ამხანაგ სკორინს, — მალე ვნახავთ თუ არა პლანტაციებში ჩაის საკრეფ მანქანას?

— მუშაობა ფართო ფრონტით წარმოებს, — მიპასუხა სკორინმა.—მთელი კოლექტივი იღვწის. ამ საქმეში დაძაბული კოლექტიური შრომაა საჭირო. თბილისში კონსტრუქტორთა სპეციალური ბიურო მუშაობს, აქ კიდევ გასულ წელს შეიქმნა მექანიზაციის განყოფილება თხუთმეტი მუშაკის შემადგენლობით. უკვე გვაქვს მიღწევები, ეს არის ჩაის სასხლავი მანქანა, ტუნგოს სარჩევი და სხვ...

* * *

მეორე სართულზე ავედი. დვაბზუს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასო ჯაბუა შემომეგება. ისევ მოზღვავებული ჩაის ფოთლის კრეფაზე ვფიქრობდი და, როცა მაგიდასთან დავსხედით, მცირე საუბრის შემდეგ ვასოს შევეკითხე:

— როგორ მიდის საქმე თქვენს კოლმეურნეობაში?

— კარგად. დვაბზუელები შრომისმოყვარენი არიან. აი, ჩვენს კოლმეურნეობაში არის ერთი ხანდაზმული მშრომელი ქალი, ელპიტი გოლიაძე, ორი შვილი ფრონტზე დაეღუპა, ქმარი მოხუცი ჰყავს. ჰო-და, ამ ადამიანმა შარშანწინ ხუთას ხარისტვალი, როცა გზის მახლობლად ველზე მომუშავე ტრაქტორს მივუახლოვდით.

ტრაქტორისტმა, ჩასაკვნელმა ჭაბუკმა, საჭე შეგრძდს გადასცა და შემოგვეგება.

ოცდა ხუთი წლისაა ეს ვა

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ქალაქ პრაღის მშრომელთა მიტინგზე 1954 წლის 15 ივნისს

ძვირფასო ამხანაგებო, სახელოვანი ქალაქის პრაღის მშრომელნო!

ნება მიბოძეთ საბჭოთა ხალხის მხურვალე ძმური სალამი გადმოგცეთ თქვენ და თქვენი სახით ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთელ ხალხს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „ვაშა“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“).**

ღღეს მუშაობა დაამთავრა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მეათე ყრილობამ. ყრილობამ ცხადყო ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის რიგების ერთიანობა და დარაზმულობა, ცხადყო, რომ კომუნისტური პარტია მზად არის კვლავაც ერთგულად და თავდადებით ემსახუროს თავის ხალხს, თავდადებით იბრძოლოს მშრომელთა ბედნიერებისათვის.

ჩეხოსლოვაკიის მუშებმა, გლეხებმა, ინტელიგენციამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდი წარმატებანი მოიპოვეს თავიანთი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცებაში, სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობაში.

აღნიშნა რა მიღწეული წარმატებანი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის მეათე ყრილობამ დასახა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ფართო პროგრამა. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ თავის ყრილობაზე ძირითად უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა ბრძოლა მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლებისათვის, მათ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო მეტად დაკმაყოფილებისათვის, მუდმივი ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელება შეიძლება მხოლოდ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის ნაყოფიერების განუხრელი გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მომჭირნეობის უსასტიკესი რეჟიმის, სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე.

ყრილობის მაღალი ორგანიზებულობა და ერთსულოვანი მუშაობა, რესპუბლიკის შემდგომი განვითარების საარსებო საკითხების ღრმა და ყოველმხრივი განხილვა, ყრილობის დელეგატების სრული ერთსულოვნება გადაწყვეტილებათა მიღებაში, ეროვნული ფრონტის სხვა პარტიების მიერ კომუნისტური პარტიისათვის მხარდაჭერა, თქვენი დღევანდელი დემონსტრაცია, რომელიც გამოხატავს ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა ნდობას კომუნისტური პარტიისადმი, მათს მტკიცე გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირონ მის პოლიტიკას — ყოველივე ეს გვინერგავს იმის მტკიცე რწმენას, რომ გადაწყვეტილებანი, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ყრილობამ მიიღო, წარმატებით შესრულდება. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა ხალხი დიდი სიხარულით ეგებება და სულით და გულით მიესალმება ჩეხოსლოვაკიის ხალხის ყოველ ახალ გამარჯვებას ახალი ცხოვრების მშენებლობის გზაზე. უდიდესი კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მტკიცე საფუძველზე ჩამოყალიბდა ნამდვილი ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის ურთიერთობა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** ეს მეგობრობა დღითიდღე ვითარდება და მტკიცდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ. საბჭოთა კავშირი კვლავაც იქნება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ერთგული და საიმედო მეგობარი, რომელზე დაყრდნობაც შეიძლება. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „ვაშა“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“).** ჩეხოსლოვაკიის მშრომელებს შეუძლიათ მტკიცედ იყვნენ ამაში დარწმუნებული. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „მარად საბჭოთა კავშირთან ერთად!“, „ვაშა“).**

ჩვენი ხალხები, რომლებიც ეწევიან დიად შემოქმედებითს შრომას, სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებით. მშვიდობის მტრები კაცობრიობას ემუქრებიან ახალი მსოფლიო ომით. მაგრამ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხები სულ უფრო აქტიურად იბრძვიან მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენს მისწრაფებაზე საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგებისადმი, ხოლო ამას ჩვენ წმინდა გულით ვამბობთ, კაპიტალისტური ქვეყნების ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეს ეს წარმოუდგენია ჩვენს სისუსტედ. ამით მათ სურთ შეცდომაში შეიყვანონ თავიანთი ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, მტკიცედ იბრძვის შეიარაღების შემცირებისათვის. საბჭოთა კავშირი მუდამ იბრძოდა და იბრძვის ატომური, წყალბადისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის გამოყენების უთუოდ აკრძალვისათვის. წინათ განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის მოწინააღმდეგენი ამბობდნენ, რომ საბჭოთა კავშირს ეს წინადადებანი შეაქვს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ატომური და წყალბადის იარაღი არა აქვსო. ახლა, როცა ჩვენ გვაქვს ატომური იარაღი და სხვაზე უმალ შევქმენით წყალბადის იარაღი, ჩვენ წინადადება შევიტანეთ საზეიმოდ დადგოთ პირობა არ გამოვიყენოთ ამ სახეობის იარაღი, ხოლო შემდეგ გადავიდეთ მის სრულ აკრძალვაზე. გასაგებია, რომ ჩვენ ამას ვცდილობთ მივაღწიოთ არა იმიტომ, რომ ჩვენ სუსტი ვართ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ მშრომელი მასების ინტერესებისათვის საქმით ვახორციელებთ ნამდვილად მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

დიდად ცდებიან ისინი, ვინც, იცავს რა ძალის პოზიციის პოლიტიკას, ფიქრობს დაგვაშინოს მუქარით. ჩვენ სუსტნერვებიანი როდი ვართ და მუქარით ვერ დაგვაშინებენ. ასეთი პოლიტიკა ჩვენთვის ცნობილია. მას ერთ დროს ახორციელებდა ჰიტლერი. ხოლო რა მოჰყვა ამას? ჰიტლერი დიდი ხანია დალპა, ჩვენი ხალხები კი ცოცხლობენ და კარგად არიან. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ახლა, როცა ჩვენი ძალები გამრავლდა და განმტკიცდა, ჩვენთვის მით უმეტეს საშიში არ არის არავითარი მუქარა. დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი მძლავრ უძლეველ ძალად გადაიქცა და მშვიდობის ურღვევი დასაყრდენია. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ ფაქტით, რომ სოციალიზმის ბანაკსა და კაპიტალიზმის ბანაკს შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა. მაგრამ ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ მშვიდობა თავისთავად არ მოვა, რომ მისთვის უნდა ვიბრძოლოთ თანმიმდევრულად და მტკიცედ.

ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის — ეს იმას ნიშნავს, რომ მივაღწიოთ საერთაშორისო საკითხების მშვიდობიან გადაჭრას. და ამას ჩვენ ვაკეთებთ და კვლავაც დაუცხრომლად გავაკეთებთ.

ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის — ეს იმას ნიშნავს, რომ ვიბრძოლოთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნების თავდაცვისუნარიანობა, რათა აგრესორებმა იცოდნენ: თუ ხელი მახლე, ვერ გამიძღებ! **(ხანგრძლივი ტაში).**

აი რატომ მოუწოდებენ კომუნისტური პარტიები სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს — მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას განამტკიცონ თავიანთი სახელმწიფოები, გაამრავლონ მათი სიმდიდრე და მაღლიონ ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას.

დიდი ლენინი და მისი საქმის განმგრძობი სტალინი გვასწავლიდნენ, რომ ახალ საზოგადოებრივ წყობილებას შეუძლია გაიმარჯვოს და კიდეეც უნდა გაიმარჯვოს შრომის ნაყოფიერების უფრო მაღალი დონის მეოხებით. ამიტომ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის სოციალიზმის მშენებელ მშრომელთა მთავარი ამოცანაა.

კაპიტალისტებიც მოითხოვენ შრომის მაღალ ნაყოფიერებას. მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნებში შრომის ნაყოფიერების გადიდება იწვევს ერთა მუჭა კაპიტალისტების გამდიდრებას, მშრომელთა ფართო მასების მატერიალური მდგომარეობის გაუარესებას. სოციალიზმისა და დემოკრატიის ქვეყნებში შრომის ნაყოფიერების გადიდება სასარგებლოა თვით მშრომელებისათვის და უზრუნველყოფს მათი მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტელ ზრდას.

დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების დიდი სასიცოცხლო ძალისა და ძლიერების ძირითადი წყაროა ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობა, რომელიც ემყარება ურთიერთ ღრმა პატივისცემასა და თანასწორუფლებიანობის პრინციპს. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ხალხების ეს მეგობრობა სულ უფრო განვითარდება და განმტკიცდება, რაც ჩვენი ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გარანტია და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის წარმატებათა საწინდარი იქნება.

სულით და გულით ვუსურვებთ პრაღის მშრომელებს, ჩეხოსლოვაკიის მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას ახალ დიდ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხალხებს!

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ ფრონტს!

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მოწინავე რაზმს!

დაე ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს ძმური, ურღვევი მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხებს შორის! **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. შეძახილები „ვაშა“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“, „სამარადისო მეგობრობა საბჭოთა კავშირთან!“).**

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება

ჟენევის თათბირზე კორეის საკითხის შესახებ

1954 წლის 15 ივნისს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონო თავმჯდომარე, ბატონო დელეგატებო!

13 მაისს კორეის საკითხის განხილვის დროს ბრიტანეთის დელეგაციის მეთაურმა გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა „მივაღწიოთ შეთანხმებას ძირითად პრინციპებზე“. ამასთან მან ჩამოთვალა შესაძლო შეთანხმების ხუთი პუნქტი, დაასახელა რა შემდეგი: არჩევნების მოწყობა სრულიად კორეის მთავრობის შესაქმნელად, ამ არჩევნებში პროპორციულობის პრინციპის დაცვა ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეაში, არჩევნების თავისუფლების უზრუნველყოფა საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე და ფარული კენჭისყრით, არჩევნებისადმი საერთაშორისო მეთვალყურეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით, კორეიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის პირობების დაწესება. ბ-ნ იდენის განცხადებაში ნათქვამი იყო: „ჩვენ რომ შევთანხმდეთ ამ ხუთ პრინციპზე, რომლებზეც ეს-ეს არის ვილაპარაკე, ამ კონფერენციას შეუძლია შეუდგეს პირობებისა და სტადიების შემუშავების პრაქტიკულ ამოცანებს“.

5 ივნისს საბჭოთა დელეგაციამ თათბირის განსახილველად წარმოადგინა თავისი წინადადებანი კორეის საკითხის მოწესრიგების ძირითადი პრინციპების შესახებ. ეს წინადადებები მთელ რიგ პუნქტებში ძირითადად ემთხვევა ბრიტანეთის დელეგაციის წინადადებებს. საბჭოთა პროექტშიც ჩამოყალიბებული იყო ხუთი პუნქტი, ამასთან უფრო ზუსტი და კონკრეტული ფორმით, რაშიც ადვილად დარწმუნდებით.

საბჭოთა წინადადებების შინაარსს ახასიათებს შემდეგი ძირითადი დებულებები:

a) სრულიად კორეის თავისუფალი არჩევნების მოწყობა ექვსი თვის განმავლობაში მთელ კორეაში პროპორციული წარმომადგენლობის დაცვით.

b) ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენლებისაგან სრულიად კორეის კომისიის შექმნა სრულიად კორეის თავისუფალი არჩევნების მოსამზადებლად და მოსაწყობად.

c) უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანა კორეიდან არჩევნების დაწყებამდე.

d) სრულიად კორეის არჩევნების მოწყობის სამეთვალყურეო საერთაშორისო კომისიის შექმნა.

e) იმის აღიარება, რომ საჭიროა სახელმწიფოებმა, რომლებიც ყველაზე უფრო დაინტერესებული არიან შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნებით, იკისრონ კორეის მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფის ვალდებულებანი.

შემოიტანა რა ეს წინადადებანი, საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა როგორც ის ფაქტი, რომ მოხდა თათბირის მონაწილეთა თვალსაზრისის ერთგვარი დაახლოება ზოგიერთი ძირითადი პრინციპების მიმართ, რომლებსაც უნდა ემყარებოდეს მშვიდობიანი მოწესრიგება კორეაში, ისე აგრეთვე ის, რომ მთელ რიგ საკითხებში რჩება უთანხმოება. ამასთან ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ვიზიარებთ ბრიტანეთის დელეგაციის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ სასურველია ძირითადი პრინციპების დადგენა კორეის საკითხზე შეთანხმების მისაღწევად.

რა მნიშვნელობა ექნებოდა საბჭოთა დელეგაციის წინადადებების მიღებას ამა თუ იმ შესწორებით? ეჭვი არ არის, რომ თათბირის შესაბამისი გადაწყვეტილება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენის მომზადებაში. ხუთი საბჭოთა წინადადების მიღება, ამ წინადადებებში შესაძლო კორექტივების შეტანით, ჯერ კიდევ ვერ გადაწყვეტდა კორეის სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენის საკითხს, მაგრამ ხელს შეუწყობდა ისეთი გადაწყვეტილების მომზადებას, რომელიც უნდა განხორციელდეს თავის დროზე.

საბჭოთა დელეგაციის წინადადებანი სავსებით მოიწონეს კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ. მაგრამ ამ წინადადებათა კონკრეტული განხილვა უხეშად უარყვეს თათბირზე წარმოდგენილმა იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით სამი წლის განმავლობაში აწარმოებდნენ ომს კორეაში.

აქ გამოირკვა, რომ სახელმწიფოთა ეს ჯგუფი — ყოველ შემთხვევაში ახლა — არ ესწრაფვის გამონახოს გზები ჟენევის თათბირის ყველა მონაწილის ღონისძიებათა შესათანხმებლად, რათა გადაიდგას წინ თუნდაც ერთი ნაბიჯი, რომელიც გააადვილებს კორეის სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენას. კომუნისტური სახელმწიფოების წინაღმდეგ წარმოთქმული თვალთმაქცური და ფარისევლური სიტყვები ვერ დაფარავენ ამ მარტივ ფაქტს. მხოლოდ ასე შეიძლება შევაფასოთ ის ფაქტი, რომ, არა სურთ რა ცნონ საბჭოთა წინადადებების დასაბუთებულობა და სამართლიანობა, აქ არ შემოუტანიათ არავითარი სხვა წინადადება, რომელიც გააადვილებდა კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენის დაწყებას.

საბჭოთა წინადადებების საკითხზე 11 ივნისს გენერალური ორატორი იყო კანადის წარმომადგენელი. ამასთან საბჭოთა წინადადებების გამო დაისვა იმდენი სრულიად უადგილო კითხვა, რომლებიც საქმეს არ შეეხება, რომ ეს შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც ცდა — დახლართონ განსახილველი საკითხი. მაგრამ მან თავისი დასკვნაც გააკეთა, რომლის აზრიც ადვილი გასაგებია. მან თავისი გამოსვლა დაამთავრა სიტყვებით: „უკეთესი იქნება, რომ თვალი გავუსწოროთ ჩვენს უთანხმოებათა ფაქტებს და ვაღიაროთ ისინი, ვიდრე შეცდომაში შევიყვანოთ ჩვენი თავი ცრუ იმედებით და ვაიძულოთ მსოფლიოს ხალხები ირწმუნონ, რომ არსებობს შეთანხმება, მაშინ როცა ასეთი შეთანხმება არ არის“.

კანადის წარმომადგენლის სიტყვებიდან შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნა გავაკეთოთ: უარი უნდა ვთქვათ ცდებზე ვეძიოთ იმის შესაძლებლობა, რომ შევთანხმდეთ კორეის საკითხის გადაწყვეტის თუნდაც ზოგიერთ ძირითად პრინციპზე, რადგან შეთანხმებას ვერ მივაღწევთ და ამიტომ შეცდომაში არ უნდა შევიყვანოთ საზოგადოებრივი აზრი ასეთი შეთანხმების ძებნითო. ამ შეხედულებაში, კანადის წარმომადგენელმა რატომ არაფერი თქვა ბრიტანეთის დელეგაციის 13 მაისის წინადადებაზე, რომელიც აგრეთვე ითვალისწინებს „შეთანხმების მიღწევას ძირითად პრინციპებზე“ და ფრაზად სასურველად მიაჩნია ეს. თუ კანადის წარმომადგენელი ამბობდა, რომ შეუწყნარებელია შეცდომაში შევიყვანოთ საზოგადოებრივი აზრი წინადადებებით, სადაც ნაჩვენებია ზოგიერთი დებულება, რომელიც ცნო ჟენევის თათბირის ყველა მონაწილემ, შეეხება თუ არა ასეთი სახის თავდასხმა წინადადებებს ძირითადი პრინციპების შესახებ, რომლებიც დიდი ბრიტანეთის დელეგაციამ შემოიტანა? არ უნდა დავივიწყოთ, რომ საჭიროა დაიცვა რაღაც ლოგიკა, თუ გსურს დამაჯერებელი იყო.

საფრანგეთის დელეგაციის მეთაური 11 ივნისს მიემხრო კანადის წარმომადგენლის განცხადებას. მაგრამ მან კორეის საკითხზე შეიტანა თავისი წინადადება, რომელიც აგრეთვე ხუთი ძირითადი პუნქტისაგან შედგება. ამ პუნქტების უმრავლესობა მეტნაკლებად ჰგავს საბჭოთა დელეგაციის წინადადებებს, აგრეთვე ბრიტანეთის დელეგაციის წინადადებებს. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის დელეგაციას, ისევე როგორც კანადის დელეგაციას, საერთოდ არასასურველად მიაჩნია ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ჟენევის თათბირმა მიიღოს საერთო პრინციპები კორეის საკითხზე. იბადება კითხვა, სერიოზულად ეკიდება თუ არა საფრანგეთის დელეგაცია კორეის საკითხზე საერთო პრინციპების თავის ხუთ პუნქტს?

ბელგიის დელეგაციის მეთაური ბ-ნი სპაააკი იქამდე მივიდა, რომ თქვა, თითქოს საბჭოთა დელეგაციის წინადადებანი გამოიწვევენ „საშინელ შედეგებს“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის, თითქოს ისინი „მომაკვდინებლად“ უნდა ჩაითვალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის და სხვ. ყველა ეს „საშინელი“ სიტყვა და ორატორული ხერხი გამოჩნდა მხოლოდ იმის გამო, რომ საბჭოთა წინადადებების პროექტში სრულიად კორეის არჩევნებისადმი კონტროლის საერთაშორისო კომისიის შექმნის შესახებ გათვალისწინებული არ არის ამ კომისიის დანიშვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ. მაგრამ ბ-ნ სპაააკს, როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ ჟენევის თათბირის მოწვევის დროს, რომელშიც იგი მონაწილეობს, ჩვენ ვმოქმედებდით ისე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მონაწილეობა არ მიუღია. მიუხედავად ამისა, არცერთ ჩვენგანს არ მიუჩნევია და არ მიაჩნია ეს დაუშვებლად.

გამოვიდა რა 11 ივნისს, ბრიტანეთის დელეგაციის მეთაურს არ გახსენებია თავისი ხუთი ძირითადი პრინციპი კორეის საკითხზე, რომელთა შესახებ მან 13 მაისს ილაპარაკა. აბჯერად მის ყურადღებას, როგორც თვითონ ამბობდა, იპყრობდა მხოლოდ „ორი პრობლემა“: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტი და თავისუფალი არჩევნების პრინციპი. ცხადია, ჟენევის თათბირის მონაწილეთაგან არავინ არ უარყოფს იმას, რომ საჭიროა გავუფრთხილდეთ — და თანაც არა სიტყვით, არამედ საქმით — როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს, ისე იმას, რომ საჭიროა დავიცვათ თავისუფალი არჩევნების პრინციპი კორეაში.

მთელი რიგი სხვა დელეგაციებიც მხარს უჭერდნენ საბჭოთა დელეგაციის წინადადებათა უარყოფას და გამოდიოდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თვითმორეკლამე დამცველთა როლში.

მე იძულებული ვარ ერთხელ კიდევ მივაქციო თათბირის ყურადღება იმას, რომ შეიძლება სხვადასხვანაირად დავიცვათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტი. ყველა ეგრეთწოდებული „დაცვა“ როდი ამაღლებს ამ ავტორიტეტს. კორეის ომში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალამი ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების ზეგავლენით გამოყენებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებისა და თვით წესდების საზიანოდ. ასეთი საშუალებებით შეუძლებელია ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ავტორიტეტის განმტკიცება. საბჭოთა მთავრობა იმას ემხრობოდა და ემხრობა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტს ძირს არ უთხრიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით, არ ამცირებდნენ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის გამოყენებით სახელმწიფოთა ამა თუ იმ აგრესიული დაჯგუფების ინტერესებს.

რაც შეეხება სრულიად კორეის თავისუფალი არჩევნების პრინციპს, საბჭოთა წინადადებებში სავსებით უზრუნველყოფილია ამ პრინციპის დაცვა. საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ გამოსულთაგან ვერავინ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოახერხა შეერყია ამ წინადადებათა საფუძვლიანობა, თუ შევეხებით სრულიად კორეის არჩევნების თავისუფლებას უზრუნველყოფის ინტერესებს.

ყველაზე მეტი თავდასხმა განიცადა წინადადებამ არჩევნების მომზადებისა და განხორციელებისათვის ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენელთაგან სრულიად კორეის კომისიის შექმნის შესახებ. მაგრამ არჩევნების განხორციელებისათვის სრულიად კორეის ორგანოს შექმნაზე უარის თქმის თვით ფაქტი ამას მოწმობს, რომ პატივისცემით არ ეპყრობიან კორეელი ხალხის უფლებებს, რადგან ისეთი საქმე, როგორიც სრულიად კორეის არჩევნებია, თვით კორეელების ხელში, თვით კორეელი ხალხის ხელში უნდა იყოს. რითაც უნდა ასაბუთებდნენ ასეთ უარს, იგი წარმოადგენს იმის ცდას, რომ თავს მოახვიონ ჩრდილოეთ კორეას სამხრეთ კორეის ლისინმანური რეჟიმი, რაც, როგორც ყველამ იცის, ვერ მოხერხდა სამი წლის ომის საშუალებით. მაშასადამე, ის, რომ არა სურთ შექმნან სრულიად კორეის ორგანო მთელ კორეაში თავისუფალი არჩევნების განსახორციელებლად, ხელოვნური საშუალებაა, რომლითაც ფუშავენ სრულიად კორეის არჩევნების განხორციელების თვით შესაძლებლობას.

აშკარად უსაფუძვლოა იმის ცდა, რომ სრულიად კორეის არჩევნების საკითხი გადაეცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომელიც კორეაში მეომარ მხარედ გამოდის და რომელსაც ამიტომ მორალური საფუძვლები არა აქვს მიუკერძებელი ორგანოს როლი შეასრულოს კორეის საკითხში, ისეთი ცდა პასუხსმგებლობას ვერ მოხსნის იმათ, ვისაც არა სურს გადადგას თუნდაც პირველი ნაბიჯი კორეის ეროვნული ერთიანობის მოსამზადებლად ამ პირობებით, რომლებიც მისაღებია როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კორეის მოსახლეობის ძირითადი მასისათვის.

განხილვამ ცხადყო, რომ ამჟამად ჟენევის თათბირის მონაწილეთა უმრავლესობა შეუძლებელს ხდის შეთანხმებას, თუნდაც პირველი ნაბიჯების შესახებ, რომლებიც მიმართული იქნებოდა კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენისაკენ.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობა ეცდება მიაღწიოს იმას, რომ მომავალშიც გამოყენებულ იქნას ყოველი შესაძლებლობა, რათა მივაღწიოთ შეთანხმებას კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ ერთიანი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული კორეის სახელმწიფოს შექმნის საფუძველზე.

ჩვენ მაგვაჩნია, რომ შექმნილ პირობებში კორეის ეროვნული ერთიანობის აღდგენის საქმეს ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს კორეის შემდგომი მშვიდობიანი განვითარების განმტკიცებისათვის პირობების უზრუნველყოფა ჩრდილოეთსა და სამხრეთში. ამ ამოცანებს შეესაბამება ის წინადადებანი, რომლებიც დღეს შემოიტანა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ და რომელთა მიზანია კორეაში მშვიდობიანი პირობების განმტკიცება.

ამის შესაბამისად საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს როგორც წინადადებას კორეიდან უცხოეთის მთელი შეიარაღებული ძალების გაყვანისათვის რაც შეიძლება მოკლე ვადის დაწესების შესახებ, ისე იმ წინადადებასაც, რომ შემცირდეს ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ჯარების რიცხვი. ასეთი წინადადებანი შეიძლება არ მოეწონოთ ლისინმანელებს სამხრეთ კორეაში. მაგრამ შეიძლება ეჭვი არ ვაქონოთ, რომ ეს წინადადებები შეესაბამება კორეელი ხალხის ინტერესებსა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს აგრეთვე წინადადებას, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან შეიქმნას კომისია ამ საკითხის განსახილველად, რომ შეიქმნას კორეაში საომარი მდგომარეობის თანდათანობით ლიკვიდაციის პირობები და ორივე მხარის ჯარები გადაყვანილ იქნან მშვიდობიან მდგომარეობაზე. ასეთი გადაწყვეტილების მიღება არა მარტო შეამსუბუქებს კორეელი ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეაში, არამედ დიდი მნიშვნელობა აქვს მთელ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცებისთვისაც. ამასთანავე საბჭოთა დელეგაცია ყოველი ღონისძიებით უჭერს მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნას, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების მთავრობებმა გაუქმონ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ბლოკადისა და ემბარგოს აშკარა უკანონო ღონისძიებანი, რომლებიც დღევანდელ პირობებში არა მარტო ეწინააღმდეგება ელემენტარულ საერთაშორისო ნორმებს, არამედ დანაშაულიც არის კორეელი ხალხის წინააღმდეგ.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობა

პრაღა, 15 ივნისი. (საკუთარი). დღეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობის დილის სხდომაზე დამთავრდა კამათი ნოვოტნის, შტეტკისა და შიროკის მოხსენებათა გამო. სულ კამათში გამოვიდა 54 დელეგატი.

მოხსენებებმა და კამათმა ცხადყვეს, რომ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია თავის ყრილობაზე მონოლითური მოვიდა.

იმის გამო, რომ ყრილობაზე არ ყოფილა უთანხმოება განხილულ საკითხებზე, მომხსენებლებმა ნოვოტნიმ, შტეტკამ და შიროკიმ უარი თქვეს საბოლოო სიტყვაზე.

სამანდატო კომისიის მოხსენების დამტკიცებას შემდეგ ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც იწონებს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობას პარტიის IX და X ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში; იწონებს ამხ. ნოვოტნის მიერ გაკეთებულ მოხსენებას და ამტკიცებს მას როგორც დირექტივას ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის შემდგომი მოღვაწეობისათვის.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობამ დაამტკიცა აგრეთვე ცენტრალური სარევიზიო კომისიის ცნობა.

ამის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობა გადავიდა დღის წესრიგის ეზუთე პუნქტის განხილვაზე და მოისმინა ვაცლავ პაშეკის მოხსენება „ცვლილებანი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წესდებაში“.

ყრილობამ დაამტკიცა პარტიის წესდების ცვლილებანი და დამატებანი, რომლებიც მოხსენებაში იყო ჩამოყალიბებული.

დახურულ სხდომაზე ყრილობამ აირჩია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი 84 წევრისა და 28 კანდიდატის შემადგენლობით. ყრილობამ აირჩია აგრეთვე ცენტრალური სარევიზიო კომისია.

შემდეგ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობა იღებს მისალმებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი.

დასასრულ ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა ანტონინ ზაპოტოცკიმ.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პრაღა, 16 ივნისი. (საკუთარი). გუშინ გაიმართა პლენუმი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც აირჩია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობამ.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებად ერთხმად არჩეული არიან: კარელ ბაჭილეკი, რუდოლფ ბარაკი, ალექსი ჩეპიჩკა, იარმირ დოლანსკი, ზდენეკ ფირლინგერი, ვაცლავ კოპეცკი, ანტონინ ნოვოტნი, ვილიამ ბიროკი, ანტონინ ზაპოტოცკი. ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან: ლუდმილა იანკოვცოვა და ოტაკარ შიმუნეკი.

ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ერთხმად არჩეულ იქნა ანტონინ ნოვოტნი, ცენტრალური კომიტეტის მდივნებად: არტურ გენდრიხი, ბრუნო კეელერი, ვრატისლავ კრუტინა და ვაცლავ პაშეკი. არჩეული მდივნები შეადგენენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს.

ცენტრალური სარევიზიო კომისიის საორგანიზაციო სხდომაზე ამ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა იოზეფ შტეტკა.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობის დამთავრებისადმი მიძღვნილი მიტინგი

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება

ჟენევის თათბირზე კორეის საკითხის შესახებ 1954 წლის 15 ივნისს

(დასასრული)

საკვლევით სწორი იქნება, თუ თათბირი ცნობს, რომ კორეის მშვიდობიანი გაერთიანების ინტერესებთან შეუთავსებელია კორეის ამა თუ იმ ნაწილსა და სხვა სახელმწიფოთა შორის ისეთი ხელშეკრულებათა არსებობა, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო ვალდებულებებთან. ამასთანავე არ შეიძლება აღინიშნოს, რომ ეგრეთწოდებული „ურთიერთ თავდაცვის“ ხელშეკრულება, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ კორეას შორის დაიდო, ძირეულად ეწინააღმდეგება კორეის მშვიდობის ინტერესებს. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ ამერიკის შეიარაღებული ძალები დარჩნენ სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე განუსაზღვრელად დიდი ხნის განმავლობაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, აღნიშნული ხელშეკრულება იმას ნიშნავს, რომ კორეის ტერიტორია უვადოდ ჰქონდეთ ოკუპირებული უცხოელებს. მისი მიზანია არა ის, რომ კორეის საკითხი მშვიდობიანად მოწესრიგდეს, არამედ ის, რომ მხარი დაუჭირონ აგრესიულ ზრახვებს კორეაში ახალი სამხედრო ავანტიურების მოწყობით. არ შეიძლება დავუშვათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა წრეებმა სამხრეთ კორეა გადააქციონ შორეულ აღმოსავლეთში ახალი ომის გაჩაღების პლაცდარმად. აშკარაა, რომ ასეთი ხელშეკრულებები შეუთავსებელია კორეელი ხალხის ინტერესებთან.

ამასთანავე საბჭოთა დელეგაცია მხარს უჭერს წინადადებას, რომ შეიქმნას სრულიად კორეის კომიტეტი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და კორეის რესპუბლიკას შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების შეთანხმებულ ღონისძიებათა შესამუშავებლად და განსახორციელებლად. ასეთი ღონისძიების საჭიროების უარყოფა იმას ნიშნავს, რომ ხელი შევუშალოთ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის დაახლოებას და გავაძნელოთ კორეის სახელმწიფოს ერთიანობის შექმნის პირობების მომზადება.

დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ ჟენევის თათბირის მონაწილე სახელმწიფოები განსაკუთრებით განაცხადებენ, რომ ცნობენ კორეის მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფის საჭიროებას. შეიძლება ექვი არ შევიტანოთ, რომ ასეთ საერთაშორისო დახმარებას მოიწონებს მთელი კორეელი ხალხი. ამგვარი აღიარება სხვა სახელმწიფოთა მხრივ ხელს შეუწყობს იმას, რომ შეიქმნას ერთიან, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ კორეის მშვიდობიანი გაერთიანების ამოცანის რაც შეიძლება მალე გადაწყვეტის პირობები.

იმ წინადადებათა დამატებით, რომლებიც დღეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ წარმოადგინა, საბჭოთა დელეგაციას თათბირის განსახილველად შემოაქვს თათბირის ყველა მონაწილის შემდეგი ერთობლივი დეკლარაციის პროექტი:

„დეკლარაცია კორეის საკითხზე

ჟენევის თათბირის მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ სანამ კორეის საკითხი საბოლოოდ მოწესრიგდებოდეს ერთიანი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული კორეის სახელმწიფოს შექმნის საფუძველზე, არ უნდა იყოს რაიმე ისეთი მოქმედება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კორეაში მშვიდობის შენარჩუნებას.

თათბირის მონაწილენი რწმენას გამოთქვამენ, რომ როგორც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ისე კორეის რესპუბლიკაც იმოქმედებენ ამ დეკლარაციის შესაბამისად მშვიდობის ინტერესებისათვის“.

საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ ჟენევის თათბირის ყოველ ნაბიჯს კორეის შემდგომი მშვიდობიანი განვითარების განსამტკიცებლად ამასთანავე დიდი მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ნამ ირის განცხადება

კორეის საკითხზე 1954 წლის 15 ივნისს

ბატონო თავმჯდომარე!

ბატონო დელეგატებო!

დღეისათვის ნათელი გახდა, რომ დელეგაციები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებს მიჰყვებიან, უარყოფითად ეკიდებიან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის 27 აპრილის წინადადებებს დემოკრატიულ საწყისებზე კორეის გაერთიანების შესახებ. ამ დელეგაციებმა ცხადყვეს, რომ ისინი თანახმანი არიან კორეის გაერთიანების მხოლოდ ისეთ პირობებზე, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემენ სამხრეთ კორეის რეჟიმს დაუმორჩილონ ჩრდილოეთი კორეა.

ის გარემოება, რომ ამ დელეგაციებს არ სურთ შეთანხმდნენ იმაზე, რომ კორეის პრობლემა მოწესრიგდეს დემოკრატიული გზით, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდა, როცა მათ უარყვეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის 5 ივნისის წინადადება კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგების ძირითადი პრინციპების შესახებ, თუმცა საბჭოთა დელეგაციის მეთაურის წინადადებას შეეძლო გაედვილებინა თანხმობის მიღწევა იმ საკითხებზე, რომელთა შესახებაც დელეგატებს სხვადასხვა თვალსაზრისი ჰქონდათ. იმ ქვეყნების წარმომადგენელთა გამოსვლებმა თათბირზე, რომელნიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით მონაწილეობდნენ კორეაში სამი წლის შეიარაღებულ ინტერვენციაში, ცხადყო, რომ ისინი ახლა იმის წინააღმდეგ არიან განწყობილნი, რომ კორეა მშვიდობიანი გზით გაერთიანდეს. მათ, როგორც ჩანს, ახლანდელ პირობებში სურთ შეინარჩუნონ კორეის დანაწილება, რათა შესაფერის მომენტში კვლავ სცადონ გაავრცელონ სამხრეთ კორეის რეჟიმი ჩრდილოეთ კორეაზე.

სწორედ ამით შეიძლება აიხსნას იმ დელეგაციების განზრახვა, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებს მიჰყვებიან, შეწყვეტონ მოლაპარაკება ჟენევის თათბირზე კორეის საკითხის შესახებ, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი 11 ივნისის პლენარულ სხდომაზე.

ჩვენ კი სხვა აზრისა ვართ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ, თუმცა არსებობს თვალსაზრისთა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, მაინც საჭიროა განვაგრძოთ ღონისძიებანი, რათა მივაღწიოთ ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებებს.

თუ ახლა არ მოხერხდება იმ საკითხებზე შეთანხმება, რომლებიც დაკავშირებულია არსებული მოწყობასთან კორეის გაერთიანების მიზნით, მაშინ უნდა შევთანხმდეთ სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებზე და, უწინარეს ყოვლისა, კორეაში მშვიდობის შენარჩუნების საკითხზე. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება შეამსუბუქებდა ახლო მომავალში კორეის გაერთიანების ამოცანების გადაწყვეტას.

კორეაში მშვიდობის განმტკიცებას მოითხოვს კორეელი ხალხი როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში. ამას მოითხოვენ ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხები, რადგან იციან, რომ კორეის პრობლემის მოწესრიგება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს დაძაბულობის შენელებას საერთაშორისო ურთიერთობაში.

ეყრდნობა რა ამ მოსაზრებებს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია წინადადებით მიმართოს თათბირს განიხილოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია დროებითი ზავის განმტკიცებისა და მშვიდობიან მდგომარეობაზე თანდათანობით გადასვლის ამოცანასთან.

სასტიკმა ომმა, რომელიც კორეელ ხალხს გარეგან მოახვიეს თავს, აუოიცხელი ტანჯვა და უბედურება მოუტანა მას. ასეთი ომის საფრთხე კორეაში დღემდე არ არის თავიდან აცილებული. სამხრეთ კორეის მმართველნი არ წყვეტენ მუქარას განაახლონ ომი კორეაში. ამერიკის კარნახით ისინი ეწევიან ფართო სამხედრო მზადებას სამხრეთ კორეაში და ანგარიშს არ უწევენ დაზავების შესახებ შეთანხმების პირობებს.

სამხრეთ კორეის ოფიციალური ცნობებით, დაზავების ხელმოწერის მომენტიდან სამხრეთ კორეის არმია უკვე გადიდდა 16-დან 20 დივიზიამდე, ესე იგი 4 დივიზიით, და ახლო მომავალში დასახულია დამატებით შეიქმნას 15 ქვეითი დივიზია და დიდი საავიაციო შენაერთები.

თუ ამერიკის შეერთებული შტატები და სამხრეთ კორეა, ისე როგორც მათი მხარდამჭერი სხვა ქვეყნები, მართლაც ესწრაფვიან კორეაში მშვიდობის შენარჩუნებას, მაშინ ჟენევის თათბირს შეეძლო ნათანადო გადაწყვეტილებანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კორეაში მშვიდობიანი მდგომარეობის განმტკიცებას და დაზავების მდგომარეობიდან ჩვენს ქვეყანაში მტკიცე მშვიდობაზე თანდათანობით გადასვლას.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ კორეაში უცხოთის ჯარების ყოფნის პირობებში ძნელია მივაღწიოთ დაძაბულობის შენელებას და დაზავებიდან მტკიცე მშვიდობაზე გადასვლას. ამიტომ ჩვენ წინადადება შემოგვაქვს, რომ ამ თათბირმა ურჩიოს სათანადო სახელმწიფოთა მთავრობებს გაიყვანონ თავიანთი ჯარები კორეის ტერიტორიიდან განსაზღვრულ ვადაში ეტაპობით პროპორციულობის პრინციპის დაცვით.

კორეაში დაზავებიდან ზავზე გადასვლის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იქნებოდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეაში კორეელთა ჯარების ამჟამად არსებული რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება.

ჩვენი აზრით, თუ ომის განახლებისათვის არ ემზადები, ახლა საჭირო არ არის კორეის ორივე ნაწილში დიდი არმიების შენახვა. დემობილიზებული კორეელი ჯარისკაცები შეიძლებოდა დაბრუნებოდნენ მშვიდობიან შრომას ომით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად. ამასთან არმიების შესანახავი ხარჯების შემცირებით შესაძლებელი გახდებოდა იმ ასიგნებათა გადადება, რომლებიც საჭიროა სახალხო მეურნეობის აღსადგენად და ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის აზრით, მიზანშეწონილი იქნებოდა შეიქმნას ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენელთაგან კომისია, რომელიც კონტროლს გაუწევს უცხოთის ჯარების გაყვანისა და ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის შეიარაღებული ძალების შემცირების ღონისძიებათა განხორციელებას. ამ კომისიას აგრეთვე შეეძლებოდა ემუშავნა საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია საომარი მდგომარეობის თანდათანობით ლიკვიდაციასთან, ორივე მხარის ჯარების მშვიდობიან მდგომარეობაზე გადაყვანასთან და საათანადო შეთანხმების დასადებად კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და კორეის რესპუბლიკის მთავრობისათვის წინადადებათა მომზადებასთან.

განიხილავს რა კორეაში მშვიდობის განმტკიცების ღონისძიებებს, თათბირს არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ ფაქტს, რომ სამხრეთ კორეის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის დადებულია ეგრეთწოდებული „ხელშეკრულება ურთიერთთავდაცვის შესახებ“, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლებას ანიჭებს სამხრეთ კორეაში იყოლონ თავისი შეიარაღებული ძალები განუსაზღვრელი ვადის განმავლობაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, აღნიშნული ხელშეკრულება ნიშნავს ამერიკის მიერ სამხრეთ კორეის უვადო ოკუპაციას. ეს ხელშეკრულება ნავარაუდევია არა კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, არამედ ახალი სამხედრო ავანტიურების განხორციელებისათვის და, მაშასადამე, არ შეესაბამება კორეაში მშვიდობის განმტკიცების ამოცანას.

სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის დაახლოების მიზნით საჭიროა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და კორეის რესპუბლიკას შორის დამყარდეს ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა (ვაჭრობა, საფინანსო ანგარიშსწორება, ტრანსპორტი, სასაზღვრო ურთიერთობა, მოსახლეობის თავისუფალი მიმოსვლა და მოწერა-მოწერა, კულტურული და მეცნიერული ურთიერთობა და სხვ.).

ის გარემოება, რომ დღემდე არ განხორციელებულა კორეის პოლიტიკური გაერთიანება, არ შეიძლება, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის აზრით, იყოს იმ პრაქტიკულ ღონისძიებებზე უარის თქმის გამართლება, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ურთიერთობის აღდგენას ჩვენი ქვეყნის ორივე ნაწილს შორის. ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენელთაგან შეიქმნას სრულიად კორეის კომისია.

ეჭვს არ იწვევს, რომ ასეთი სრულიად კორეის ორგანოს შექმნა სერიოზული ნაბიჯი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ორივე ნაწილის პრაქტიკული დაახლოების საქმეში კორეელი ხალხის ინტერესების სასარგებლოდ. ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენელთა შორის კონტაქტის დამყარება, არსებითი და გადაუდებელი საკითხების განხილვა, რომელთა გადაჭრით დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნის ორივე ნაწილი, უეჭველია ხელს შეუწყობდა ამჟამად კორეაში შექმნილი არანორმალური ვითარების გაჯანსაღებას.

მშვიდობის განმტკიცებისა და კორეის ეკონომიური აღდგენის ამოცანებთან სრულიად შეუთავსებელია ჩრდილოეთ კორეის საზღვთა სანაპიროს ბლოკადა შეერთებული შტატების მიერ, რაც დღემდე გრძელდება. ჩრდილოეთ კორეის ხალხი ვერ შეუერიგდება ამერიკის შეერთებული შტატების ასეთ თვითნებობას და მოითხოვს ბოლო მოეღოს ჩვენი სანაპიროს უკანონო ბლოკადას.

საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ კორეაში მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფისათვის საჭიროა, რათა ჟენევის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა გარკვეული ვალდებულებანი იკისრონ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს, რომ აღნიშნულმა სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულებანი — არ დაუშვან კორეაში შეიარაღებული კონფლიქტების წარმოშობა და ხელი შეუწყონ კორეის ეროვნული გაერთიანების ამოცანის რაც შეიძლება მალე განხორციელებას.

ზემომოყვანილ მოსაზრებათა მიხედვით კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის შემოაქვს შემდეგი წინადადებანი ჩვენი თათბირის განსახილველად.

„კორეაში მშვიდობიანი პირობების უზრუნველყოფის შესახებ

ჟენევის თათბირის მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ისინი კვლავ ეცდებიან მიაღწიონ შეთანხმებას ერთიანი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული კორეის სახელმწიფოს შექმნის საფუძველზე კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ.

კორეაში მშვიდობიანი პირობების უზრუნველსაყოფად:

1. რჩევა მიეცეთ შესაბამის სახელმწიფოთა მთავრობებს განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უცხოელთა მთელი შეიარაღებული ძალები გაყვანილ იქნან კორეის ტერიტორიიდან რაც შეიძლება მოკლე ვადაში პროპორციულობის პრინციპის დაცვით.

კორეიდან უცხოთის ჯარების გაყვანის ვადის დაწესება შეთანხმებულ უნდა იქნას ჟენევის თათბირის მონაწილეთა შორის.

2. სულ ბევრი ერთი წლის ვადაში შემცირდეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის რესპუბლიკის ჯარების რიცხვი, ამასთან დაწესდეს თვითეული მხარისათვის ჯარების ზღვრული რაოდენობა არა უმეტეს 100 ათასი კაცისა.

3. დაარსდეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან კომისია იმ საკითხის განსახილველად, რომ შეიქმნას საომარი მდგომარეობის თანდათანობით ლიკვიდაციის პირობები, ორივე მხარის ჯარები მშვიდობიან მდგომარეობაზე გადაყვანასთან და საათანადო შეთანხმების დასადებად კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და კორეის რესპუბლიკის მთავრობისა და კორეის რესპუბლიკის მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინოს წინადადებანი საათანადო შეთანხმების დადების შესახებ.

4. ცნობილ იქნას, რომ კორეის მშვიდობიანი გაერთიანების ინტერესებთან შეუთავსებელია კორეის ამა თუ იმ ნაწილსა და სხვა სახელმწიფოებს შორის ხელშეკრულებათა არსებობა, რამდენადაც ასეთი ხელშეკრულებანი დაკავშირებულია სამხედრო გალდებულებებთან.

5. ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის დაახლოების პირობების შექმნის მიზნით დაარსდეს სრულიად კორეის კომიტეტი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და კორეის რესპუბლიკას შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის (ვაჭრობა, ფინანსური ანგარიშსწორება, ტრანსპორტი, სასაზღვრო ურთიერთობა, მოსახლეობის მიმოსვლისა და მოწერა-მოწერის თავისუფლება, კულტურული და მეცნიერული ურთიერთობა და სხვ.) დამყარებისა და განვითარების შეთანხმებულ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელებისათვის.

6. ცნობილ იქნას, რომ საჭიროა ჟენევის თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა უზრუნველყონ კორეის მშვიდობიანი განვითარება და ამით შექმნან პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ერთიან, დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოდ კორეის მშვიდობიანი გაერთიანების ამოცანის რაც შეიძლება მალე გადაწყვეტას“.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს წინადადებებში გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება უზრუნველყოფს კორეაში დაზავებიდან მტკიცე ზავზე გადასვლას და ამით ხელს შეუწყობს კორეის მშვიდობიან გაერთიანებას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობის საბჭოში

პეკინი, 15 ივნისი. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნებულია ცნობა იმის შესახებ, რომ 14 ივნისს მაო ძე-დუნის თავმჯდომარეობით გაიმართა ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს 30-ე სხდომა. ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომას დაესწრნენ ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ჯუ დე, ლიუ შაო-ცი, სუნ ძინ-ლინი, ლი ძი-შენი, ჯან ლანი და ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს წევრები — ჩენ იუი, ლი ლი-სანი, ლინ ბო-ძიუი, ხე სიან-ნინი, ლუ ბო-ჩენი, ხუ იუი-ჯანი, პინ ჯენი, ბო ი-ბო და სხვები.

ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს სხდომამ მოისმინა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიის მოხსენება. კომისიის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შედგენისას კომისია ეყრდნობოდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ. კომისია მუშაობდა 23 მარტიდან 11 ივნისამდე. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შედგენაში, რომელიც შეტანილია ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს განსახილველად, მონაწილეობას ღებულობდა 8 ათასზე მეტი კაცი: სრულიად ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის წევრები, დიდი ადმინისტრაციული რაიონების, პროვინციებისა და ქალაქების ხელმძღვანელი ორგანოების, დემოკრატიული პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შეიარაღებული ძალების პასუხისმგებელი მუშაკები.

სხდომის მსვლელობაში გამოვიდნენ ლი ძი-შენი, სუნ ძინ-ლინი, ჯან ლანი, ხუან იან-პეი, ჯან ნან-სიანი, მა სიუ-ლუნი, უ ლან-ფუ, ხე სიან-ნინი, ჩენ შუ-უუნი, საიფუდინი, ხუ იაო-ბანი, ლი სი-გუანი და დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვა წარმომადგენელნი, რომლებმაც ერთსულოვნად მოიწონეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი და მზარი დაუჭირეს მას. შემდეგ ცენტრალურმა სახალხო მთავრობის საბჭომ ერთსულოვნად მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის საბჭოს გადაწყვეტილება

პეკინი, 15 ივნისი. (საკდესი). სინხუას საინფორმაციო სააგენტო იუწყება:

ცენტრალურმა სახალხო მთავრობის საბჭომ გამოაქვეყნა რეზოლუცია, რომელიც მიღებულ იქნა საბჭოს 1954 წლის 14 ივნისის 30-ე სხდომაზე. რეზოლუციაში ნათქვამია:

1) ცენტრალურმა სახალხო მთავრობის საბჭომ ერთხმად მიიღო „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი“, რომელიც შეიმუშავა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის შემმუშავებელმა კომისიამ, და მიიღო გადაწყვეტილება გამოაქვეყნოს იგი.

2) მთელი ჩინეთის ყველა საფეხურის აღგილობრივმა სახალხო მთავრობებმა გადაუდებლად უნდა მოაწყონ კონსტიტუციის პროექტის განხილვა, ფართოდ გაავრცელონ იგი მოსახლეობაში და მიაღწიონ იმას, რომ ხალხს აქტიურად შეჰქონდეს წინადადებანი, მიმართული კონსტიტუციის პროექტის გაუმჯობესებისაკენ.

3) ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის შემმუშავებელმა კომისიამ უნდა განაგრძოს მუშაობა, შეაგროვოს წინადადებანი და შეისწავლოს ისინი. იგი კონსტიტუციის პროექტს შესწორებას დაამთავრებს სრულიად ჩინეთის პირველი მოწვევის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველ სესიამდე და წარუდგენს ამ კრებას მოხსენებას კონსტიტუციის პროექტის საკითხზე.

სპორტის ამბები

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

მოსკოვი. 16 ივნისი. „დინამოს“ სტადიონზე სპორტის ათეულ ათასობით მოყვარული ესწრებოდა საერთაშორისო ამხანაგურ მატჩს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური სასპორტო კლუბის „ფორვერტსის“ და დედაქალაქის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

მაყურებლებმა სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. ტორპედოელებმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელებს თაიგულები უძღვნეს.

თამაში საინტერესო ბრძოლით ხასიათდებოდა. პირველი ტაიმი დამთავრდა ტორპედოელთა სასარგებლოდ 2:0. ორივე ბურთი გაიტანა გულეფსკიმ. შეჯიბრების მეორე ნახევარში მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს. მატჩი დამთავრდა „ტორპედოს“ გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

მოსკოვი. 15 ივნისი. წარმატებით დაიწყეს პირველობის გათამაშების მეორე წრე კიევის დინამოელებმა. მორიგ ასპარეზობაში ისინი შეხვდნენ თავიანთ მოსკოველ თანაკლუბელებს. თამაში დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით ანგარიშით 4:3.

მოსკოვი. 16 ივნისი. მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და გორკის „ტორპედოს“ გუნდებს შორის დამთავრდა ლოკომოტიველთა გამარჯვებით 2:1.

ამრიგად, ჩემპიონატის ცხრილს სათავეში ჩაუდგა კიევის „დინამო“, რომელსაც 14 თამაშიდან 19 ქულა აქვს. მოსკოვის „დინამო“ 13 თამაშიდან შეგროვებული 18 ქულით მეორე ადგილზეა. მესამე ადგილზეა მოსკოვის „სპარტაკი“ (14 თამაშიდან 18 ქულა), მეოთხეზე — თბილისის „დინამო“ (13 თამაშიდან 15 ქულა), მეხუთეზე — ლენინგრადის „შრომითი რეზერვები“ (13 თამაშიდან 14 ქულა).

„ბ“ კლასი

ლენინაბადი. 13 ივნისი. თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდმა მორიგი შეხვედრა წაგო ლენინაბადის ფეხბურთელებთან ანგარიშით 1:2.

ორი ქალაქის მოჭადრაკეთა შეხვედრა

საჭადრაკო სექციის მოწვევით თბილისში იმყოფებოდა ქ. ორჯონიკიძის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გამართა ამხანაგური შეხვედრები. თბილისის ნაკრებმა გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 8:2. ასეთივე ანგარიშით მოიგო აგრეთვე შეხვედრა თბილისის განათლების განყოფილების სასპორტო სკოლის გუნდმა.

შეჯიბრება სასტენდო სროლაში

კუიბიშევში დამთავრდა 6 ქალაქის სასტენდო მსროლელთა მატჩი. ბაქოს, კუიბიშევისა და სხვა ქალაქების გუნდებთან ერთად ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო თბილისის სპორტსმენთა კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ზ. მიჩხანელი, პ. სარქისოვი და სხვ.

მფრინავ სამიზნეზე ადგილიდან სროლაში მაღალი სასპორტო შედეგით პირველი ადგილი დაიკავა თბილისის გუნდმა. მეორე ადგილზეა კუიბიშევის მსროლელთა კოლექტივი, მესამეზე — გორკის გუნდი. მრგვალ სტენდზე სროლაში გაიმარჯვეს ბაქოელებმა. თბილისის გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა.

პირად ასპარეზობაში (ადგილიდან სროლა) გაიმარჯვეს ნ. მოგილევსკიმ (დონის როსტოვი), ზ. მიჩხანელმა (თბილისი) და ბ. ანტონოვმა (ი-ბილისი). მრგვალ სტენდზე სროლაში პირველი ადგილი დაიკავა თბილისელმა პ. სარქისოვმა.

მისალები გამოცდები პედაგოგიურ ინსტიტუტში

15 ივნისს ბორჯომსა და ბაკურიანში—სახელმწიფო სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დუსწრებელ განყოფილებაზე ჩაბარეს მისაღები გამოცდები. ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ფიზიკა-მათემატიკის, ბუნებისმეტყველების ფაკულტეტებზე გამოცდას აბარებს 1.250 კაცი. ამ მიღებიან მხოლოდ IV-XI კლასის პედაგოგები, რომლებსაც არა აქვთ უმაღლესი განათლება. ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე გამოცდას აბარებენ ბიბლიოთეკის გამგეები და ბიბლიოთეკარები.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით საქართველოს სხვადასხვა რაიონებში წინასწარ გაგზავნა ინსტიტუტის მუშაკები, რომლებმაც ადგილობრივ განათლების განყოფილებათა თანამშრომლების დახმარებით მომავალ პედაგოგ-სტუდენტებთან მოაწყეს საუბრები, გააცნეს მათ სასწავლო პროგრამა, აგრეთვე აცნობეს მისაღები გამოცდების დრო და ცხრილი.

გამოცდებზე ჩამოვიდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებისა და სოფლების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მასწავლებლები. პირველმა დღემ წარმატებით ჩაიარა. თოქმის ყველა ფაკულტეტზე აბარებდნენ წერით გამოცდას მშობლიურ ენაში. განსაკუთრებით მაღალი აკადემიური მომზადება გამოამჟღავნეს ისტორიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტებზე შესვლის მსურველებმა. სპეციალურ საგნებში დაწერილ ნაშრომებს შორის უმეტესად „ფრიადი“ და „კარგი“.

გამოცდები 25 ივნისამდე გაგრძელდება.

მოზარდ მაყურებელთა თეატრი კოლმეურნეებთან

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის კოლექტივმა კვირას საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმის კოლმეურნეებისათვის გამართა საშეფო კონცერტი. ხაშმის კოლმეურნეები გულთბილად შეხვდნენ თეატრის წარმომადგენლებს. კოლმეურნეებსა და სოფლის ახალგაზრდობას მიესალმა თეატრის დირექტორი ს. გვარამაძე. თეატრის ადგილკომის თავმჯდომარემ კ. ხუნდაძემ საზეიმოდ გადასცა სოფლის საკვლევლოსათვის 200 წიგნი — მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა. კოლმეურნე ახალგაზრდობის სახელით თეატრის კოლექტივს მიესალმა ამხ. ვ. ქარუმიძე.

კონცერტში მონაწილეობდნენ თეატრის წამყვანი მსახიობები — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები გ. კუპრაშვილი, თ. თვალიაშვილი, ნ. სირბილაძე, მსახიობები დ. ცხაკაია, გ. დეისაძე, გ. გოგიბერიძე, ე. გაგლოშვილი, გ. სიხარულიძე, ა. მიკირტუმოვა, ე. ესიაშვილი და სხვ.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

ნაგო ვაჩნაძის ხსოვნის საღამო

თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ნატო ვაჩნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კინოდრამატურგმა კ. გოგოძემ. ნ. ვაჩნაძეზე მოგონებები წაიკითხეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ანჯაფარიძემ, პოეტმა ს. ჩიქოვანმა, კინორეჟისორმა კ. პიპინაშვილმა. პოეტმა ი. ნონეშვილმა წაიკითხა გამოჩენილი ქართველი კინომსახიობისადმი მიძღვნილი ლექსი.

საღამოს დასასრულს აჩვენეს დოკუმენტალური ფილმი „ნატო ვაჩნაძე“. (საქდესი).

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება გალის რაიონის რეფო-შეშელეთის სასოფლო საბჭოდან სოფელ პირველი შეშელეთის გამოყოფისა და მისი ამავე რაიონის მუხურის სასოფლო საბჭოსათვის მიკუთვნების შესახებ. (საქდესი).

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურგიკიძე.

დღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — ორი კურდღლის მაძებარი (ლვოვის თეატრის გასტროლები), **გრიბოედოვის სახელობის** — ასი მილიონი, **სანიტარული კულტურის** — შვილი.

* * *

კინოთეატრების საზაფხოო დარბაზებში — **რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, ისანი, 26 კომისრის სახელობის** — ჭრიჭინა, **კომკავშირელი**